საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 26-27 მაისი. 2021 წ. №113-114 (9232-9233) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დამოუკიდებლობის გზით – ევროპისკენ!

ყველა ნიჭზე ძლიერია... ⑥⑦

ერთგულების ფიცი სვანეთში, აჭარაში, ფოკასა და მცხეთაში

26 მაისის ღონისძიებაში **ჩართულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ სარდლობის ქვედანაყოფები. ასევე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, აშშ-ის წარმომადგენლები,** – ამის შესახებ გენშტაბის ხელმძღვანელმა, ჯონი ტატუნაშვილმა განაცხადა.

„ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ტექნიკა, რომელიც დამზადებულია „დელტაში“. ასევე ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას სამი თანამედროვე სუ-25, რომლებიც შეასრულებენ გადაფრენას. ღონისძიებაზე სამხედრო ფიცს დადებს 240 რეკრუტი. რომლებიც თავდაცვის ძალების სრულფასოვანი წევრები გახდებიან“.

ამასთან, სამხედრო ფიცს რეკრუტები საქართველოს რამდენიმე რეგიონში დადებენ. **„ლოკაციები შევარჩიეთ ისტორიის, სილამაზის, არსის, სულისა და რა თქმა უნდა, საბრძოლო დიდებასთან კავშირში. სამხედრო ფიცის დადება პირველად მოხდება სვანეთში. სვანეთი მართლაც რომ აუღებელი კოშკებისა და სიმაღლეების სიმბოლოა. ფიცი დაიდება აჭარაში, ასევე ფოკაში, ფარავნის ტბასთან. ასევე სამხედრო ფიცი დაიდება საოცარ ქალაქ მცხეთაში“** – განაცხადა რეჟისორმა **ბასა ფოცხიშვილმა.** 2021 წელსაც, პანდემიის გამო, 26 მაისი (დამოუკიდებლობის დღე) მოკრძალებულად აღინიშნება და საერთოსახალხო დღესასწაული არ გაიმართება. ღონისძიება ოპერის თეატრში გალა-კონცერტით დასრულდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ დროსაც ყველაზე პროგრესული იყო!

„დამოუკიდებლობის დღე ჩვენთვის განსაკუთრებით ემოციურია, **რადგან ვიცით, რის ფასად დაგვიჯდა დამოუკიდებლობა და თავისუფლება“,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ეროვნულ ბიბლიოთეკაში განაცხადა, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნას დეპუტატებთან ერთად დაესწრო. როგორც კახა კუჭავამ აღნიშნა, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა იმ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულ და დემოკრატიულ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც, სწორედ, ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს.

„ჩვენთვის განსაკუთრებული ემოციის მატარებელია ეს დღე, რადგან ვიცით, რის ფასად დაგვიჯდა დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ჩვენ ვიმყოფებით გამოფენაზე, რომელიც პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას ეძღვნება. ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და დემოკრატიულ სისტემას წარმოადგენდა სახელმწიფო, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს. თუნდაც ის მაგალითი რად ღირს, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ქალებს ხმის უფლებაც კი არ ჰქონდათ და აქ უკვე დეპუტატებად იყვნენ არჩეულნი, შეიქმნა ბევრი პროგრესული დოკუმენტი“, – განაცხადა კახა კუჭავამ.

მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ჩვენი ქვეყნის საგანძურია.

„სიმბოლურია, რომ ახლა სწორედ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვართ, რადგან იგი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საგანძურს. მე იმ თაობას წარმოვადგენ, როდესაც ინტერნეტი ჯერ კიდევ არ არსებობდა და მთელი სტუდენტობა გატარებული მაქვს აქ – ეს იყო განსაკუთრებული შეგრძნებები, რომელიც არ შეიძლება შევადაროთ ნებისმიერ, ტექნოლოგიურად აღჭურვილ ოთახებს. მადლობა გიორგი კეკელიძეს, რომელიც ძალიან აქტიურად უძღვება ბიბლიოთეკის საქმიანობას. ჩვენ ვისაუბრეთ და ძალიან მალე საინტერესო იდეებით, საინტერესო პროექტებით, გავახარებთ მკითხველს ახლო მომავალში. ასევე, მადლობა თითოეულ თანამშრომელს, რომელთა დიდი დამსახურებაა ის განვითარება, ის შენაძენი, რომელიც ბიბლიოთეკას ყოველწლიურად აქვს როგორც უშუალოდ წიგნების, ისე მკითხველის სახით. თითოეულ თქვენგანს გილოცავთ ამ დღეს და გისურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

პრეზიდენტის პირადი საჩუქარი ეროვნულ მუზეუმს

საქართველოს **პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ეროვნულ მუზეუმში ემიგრაციაში გარდაცვლილი გენერლის, გიორგი კვინიტაძის პირადი ნივთების გამოფენა დაათვალიერა, რომელიც 22 მაისს გიორგი კვინიტაძის ოჯახის წევრებმა საფრანგეთიდან ჩამოიტანეს.**

საქართველოს პრეზიდენტმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა გიორგი კვინიტაძის მეუღლის, მარიამ მაყაშვილისა და მისი შვილის პასპორტის ასლი.

...მე მინდა სამუზეუმო ექსპონატებს ჩემი არქივიდან დავამატო (სხვათა შორის, არ ვიცი, როგორ აღმოჩნდა ჩემს არქივებში), საფრანგეთში, 1922 წლის 10 იანვარს ოჯახზე გაცემული პირველი პასპორტი.

მეორე, რაც მინდა ვთქვა, ეს არის ჩემი ძალიან დიდი ხნის ნაფიქრალი,თუმცა არ ვიცი როდის განხორციელდება, ამ მუზეუმში, ზემო სართულზე არსებობს ოკუპაციის მუზეუმი და ვფიქრობ, სამომავლოდ, ოკუპაციის მუზეუმი არ შეიძლება გამიჯნული იყოს ემიგრაციის მუზეუმისგან, რომელიც სრულყოფილი სახით არ არსებობს. ნაწილი ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის ბიბლიოთეკაშია. ემიგრაცია და ოკუპაცია – ეს ჩვენი ერთი ისტორიული ფურცლის ორი ნაწილია. ასე რომ სამომავლოდ, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო მათი გაერთიანება. ძალიან დიდი მადლობა, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა!

„ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ევროპა ნოსტრას პრიზი მუცოს რეაბილიტაციის პროგრამის საერთაშორისო აღიარების შემდგომ ვარძიის კომპლექსის კონსერვაციის პროგრამას ერგო“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ Facebook-ში წერს. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ფონდ „ქართუსთან“ და იტალიის გეოლოგიური კვლევის ინსტიტუტთან ერთად, მთავრობამ დროის მოკლე ინტერვალში უზრუნველყო კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სტრუქტურული მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება.

„დღეს ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო – ევროპა ნოსტრას პრიზი, ციხე-სოფელი მუცოს რეაბილიტაციის პროგრამის საერთაშორისო აღიარების შემდგომ, ამჯერად უკვე ვარძიის კომპლექსის კონსერვაციის პროგრამას ერგო. ევროკომისიისა და ორგანიზაცია ევროპა ნოსტრას კონკურსში საქართველოდან წარდგენილი სანომინაციო განაცხადი გახდა კონსერვაციის კატეგორიის ერთ-ერთი გამარჯვებული სხვა 8 ნომინანტთან ერთად, რომლებიც სამაგალითო მიღწევებად დასახელდა. უმნიშვნელოვანეს პარტნიორებთან – ფონდ „ქართუსთან“ და იტალიის გეოლოგიური კვლევის ინსტიტუტთან ერთად, ჩვენმა მთავრობამ დროის მოკლე ინტერვალში უზრუნველყო კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სტრუქტურული მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. წარმატებულმა საპილოტე პროექტმა საფუძველი ჩაუყარა „კლდეში ნაკვეთი მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას“, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში სხვა მსგავსი ძეგლების გადარჩენას“, – წერს ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში.

საქართველო – ვაიკაბრიოტია მძევალი! ②

№ 113-114. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26-27 ᲛᲐᲘᲡᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲒᲝᲚᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲫᲘᲕᲐᲚᲘ!



ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲒᲝᲚᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲦᲘᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ!

ᲬᲐᲛᲖᲝᲛᲘ ᲩᲐᲘᲠᲗᲝ — „კომპანია „ენკამ“ უნდა დატოვოს რიონის ხეობა; უნდა გაწყდეს ის ანტისახელმწიფოებრივი ხელშეკრულება, რომელიც კომპანიასთან დადებულია, რომელიც გულისხმობს რიონის ხეობის მთლიანად კერძო საკუთრებაში გადაცემას; უნდა გაუქმდეს ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელიც 2015 წლიდან დღემდე არის გაცემული; ასევე, გამოცხადდეს მორატორიუმი“, — ამ მოთხოვნით პირველი რესპუბლიკის მოედანზე რიონის ხეობის დამცველებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, „ნამახვანჰესის“ მშენებლობის წინააღმდეგ მიმდინარე აქციაზე ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ვარლამ გოლეთიანმა განაცხადა, რომ დედაქალაქის პარალიზებას მოახდენენ და არავის არ მისცემენ გადაადგილების შესაძლებლობას. ამასთან, ვარლამ გოლეთიანის განცხადებით, უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, არა მარტო ნათია თურნავას მიმართ, არამედ ყველა იმ პირთან დაკავშირებით, ვინც ხელს აწერს კონკრეტულ დოკუმენტაციებს.

კომპანია „ენკა“ — მზად არის გააგრძელოს საქმიანი დისკუსია ყველა დაინტერესებულ მხარესთან. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, „ნამახვანჰესის“ პროექტი არის ქართული საქმე, რომელიც რიონის ხეობის მცხოვრებლების და მთელი ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება. ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჩრდილიდან აკვირდება ქვეყანაში მინდინარე მოვლენებს, გოლეთიანის ბრალდებაზე კომენტარს არ აკეთებს, ისევე როგორც მისი გუნდი. მოქმედი პრემიერ-მინისტრი კი აცხადებს, რომ ქვეყანაში 2012 წლიდან არის სრული თავისუფლება და დემოკრატია, ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ულტიმატუმებით ლაპარაკი კატეგორიულად მიუღებელია!.

გოლეთიანის ულტიმატუმი მიუღებელია ანალიტიკოსებისთვისაც და აცხადებენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას ახლა გონივრულობა მართებს. **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ჰესის მშენებლობაზე უარის თქმა ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას გაართულებს. ამიტომ ანალიტიკოსი არ ფიქრობს, რომ ეს სწორად დანახული გზაა.

„შეიტანონ სარჩელი და მოითხოვონ იმათი დასჯა, ვინც მათი თქმით უღალატა სამშობლოს, იგივე — თუნდაც გახარია, თუ ეგულებათ ასეთი რამ მის უკან. ღარიბაშვილს რომ მიადგნენ, რა ლოგიკაა ამაში, გარდა იმისა, რომ უნდათ ამოაგდონ სავარძლიდან, სხვა ამოცანა არ ჩანს. შეიძლება მოახდინონ პარალიზება, მათ პოზიციას ბევრი იზიარებს, თან ამ პროცესის ზედაპირზე არ ჩანან პარტიები, შეიძლება შიგნით რამე ხდება, არ ვიცი. მაგრამ შევხედოთ მეტ-ნაკლებად რეალისტურად, წავიდა ხელისუფლება დათმობაზე, მერე დადგება საკითხი, რომ ფასები არის მაღალი და მოდი ხელისუფლებამ დაარეგულიროს და მართოს ფასები“, — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე**.

„ჩვენთან ქუჩის და დესტაბილიზაციის ტერორი იქცა მეთოდად. დიდ დესტაბილიზაციას გვპირდებოდნენ ნაციონალები, უბრალოდ ვერ მოახერხეს და ამიტომ უკან დაიხიეს. აქაც იგივე კონცეფციაა — თუ ხელისუფლება ისე არ მოიქცევა როგორც ჩვენ გვსურს, მოვახდენთ დესტაბილიზაციას. ესეც ტერორისტულ იდეას შეიცავს, კანონი გვერდზეა გადადებული, სამწუხაროდ, ამ რეალობასთან გვაქვს საქმე.

ალბათ, უფრო უპირიანი იქნებოდა ამ ჯგუფს, ანუ, საინიციატივო ჯგუფს, მიემართა სასამართლოსთვის, თუ სასამართლოთი უკმაყოფილო იქნებოდნენ, მაშინ საპარლამენტო კომისიის შექმნა მოეთხოვათ. ასე კანონით გათვალისწინებული ნაბიჯები უნდა ყოფილიყო ტესტი და არა ის შეძახილები, რომ თუ ანგარიშს არ გაგვიწევთ, დავარბევთ ქალაქს — ეს ხომ მათი ქალაქიც არის?!“, — აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ**.

* * *

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** შეფასებით, როგორც ჩანს, ვარლამ გოლეთიანი, მისი თანამოაზრეები და მის უკან მდგომი ოპოზიციონერი აქტორები იმორებენ იმ წარსულის შეცდომებს, რაც არის უაზრო მაქსიმალიზმი ქართულ პოლიტიკაში — ან ყველაფერი, ან არაფერი. როგორც აბაშიძე ამბობს, ვერ ხედავს იმას, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი გამსჭვალულია დედაქალაქის პარალიზებით.

„პროტესტის გამომხატველებს შორის აშკარად არიან კონსერვატორი და ნაციონალისტური პოლიტიკური გემოვნების ხალხი, რატომ შეერივნენ მათ რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური დღის წესრიგის მქონე ადამიანები, ე.წ. არასამთავრობები, რომლებიც მოიაზრებიან „ნაციონალური მოძრაობის“ ფლანგზე, იქნება ეს „საია“, ბაია პატარაიას ენჯეო და ა.შ. რომლებიც გამოირჩევიან დაპირისპირებით ამ ფლანგთან?

მაგრამ მე მაქვს სერიოზული შეკითხვა — ქალაქის პარალიზება, როცა ამას აცხადებ 26 მაისის აღლუმამდე რამდენიმე დღით ადრე, ეს რას ნიშნავს? აღლუმის პარალიზებას? ხომ არ უნდათ გაიმეორონ ის, რაც მოხდა 2011 წელს, როდესაც მერაბიშვილმა აღლუმის ხელისშეშლისთვის დაარბია აქციის მონაწილეები. ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ ამ შეცდომას არ გაიმეორებს“, — ამბობს **გია აბაშიძე**.

„ასეთი ულტიმატუმებით საუბარი ხელისუფლებასთან — ან ყველაფერი, ან არაფერი, როდესაც ბოლომდე არ არის გარკვეული, ბოლომდე არ ფლობენ ინფორმაციას ამ პროექტთან დაკავშირებით, ან არ უნდათ შეგნებულად, რომ გაიგონ, მეტყველებს იმაზე, რომ ამ ხალხს არ ადარდებს ეს პროექტი და უფრო დესტრუქციულ ქმედებებზე არიან გადასული, როგორც თავად აცხადებენ. ქალაქის პარალიზება ტრაგიკომიკურ სურათს ჰგავს ამ განცხადების ავტორისგან“, — დასძინა **გია აბაშიძემ**.

ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ვერ და არ წავა დათმობაზე. მისი თქმით, სიტუაცია აქამდე რომ მივიდა, ეს ხელისუფლების არაეფექტური მუშაობის შედეგია.

„როგორ წარმოგიდგენიათ, ხელისუფლების მხრიდან როგორი იქნება პასუხი? ცხადია, ხელისუფლება ვერ და არ წავა დათმობაზე. ეს მას არ ახასიათებს. ხელისუფლება ვინაიდან არ არის ჰომოგენური, ჭრელი სიტუაცია შეიქმნა, შიდა გარჩევებია და მუდმივად ეხვევა ასეთი ტიპის პრობლემებში და რაც მთავარია, მთელი ქვეყანა არის ასეთ დაძაბულობის რეჟიმში.

რაც შეეხება ზოგიერთის მცდელობას, რომ ეს ვითარება კვლავ გადაიტანოს ნაცებისა და „ქართული ოცნების“ დაპირისპირების ჭრილში და მხოლოდ ამ კუთხით განიხილოს, მიმაჩნია არაადეკვატურად. ცხადია, „ნაციონალური მოძრაობა“ არის დესტრუქციული ძალა, მაგრამ მარტო ამ ჭრილში საკითხის განხილვა არასწორია, რადგან პრობლემა გაცილებით რთული და ღრმა არის“, — აცხადებს **სოსო მანჯავიძე**.

* * *

პარლამენტის ყოფილი წევრი, **ხათუნა ხოფერია** თვლის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქის ვალია, მხარი დაუჭიროს საქართველოს შუაგულიდან, ულამაზესი რიონის ხეობიდან წამოსულ პატრიოტულ მუხტს.

„მხარს ვუჭერ იმას, რომ საქართველოში მიწა არ უნდა იყიდებოდეს, რომ მდინარის კალაპოტი არ უნდა იყიდებოდეს. მხარს ვუჭერ იმას, რომ საქართველოში ჰესები უნდა შენდებოდეს, მაგრამ ჰესები უნდა შენდებოდეს იმ მიწაზე, რომელიც არის ქართველი ხალხის საკუთრება და უნდა შენდებოდეს იქ მცხოვრები ადამიანების თანხმობით.

ჰესები, მათ შორის დიდი ჰესები, საშუალო ჰესები, უნდა შენდებოდეს სახელმწიფოს თუნდაც თანამონაწილეობით, თუ სრული დაფინანსებით არა. აი, ამ ვარიანტს ვუჭერ მხარს. ჩემი საპროტესტო განწყობა არის ის, რომ ხელშეკრულებაში არის პირდაპირი მიყიდვის წესით მიყიდული ჩვენი შვილების, ჩვენი შთამომავლების, ჩვენი ქართველების კუთვნილი მიწები“, — განაცხადა **ხათუნა ხოფერიამ**.

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

<u>ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ:</u> „ᲜᲐᲛᲐᲮᲕᲐᲜᲰᲔᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ, ᲜᲔᲢᲐᲕᲘ, ᲠᲐᲡ ᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲠᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠ�გᲝᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ? ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. მისი თქმით, „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგეების მხრიდან ულტიმატუმები მიუღებელია.

საქართველოს სტრატეგიული ინტერესია, რომ გაიზარდოს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხი და საქართველოში ენერგო სისტემამ გამოიმუშაოს მეტი ელექტროენერგია.

„იმ ფონზე, როდესაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ კაშხლის მშენებლობაზე მორატორიუმი გამოცხადდა და თვეებია არ შენდება, როდესაც პრემიერმა თქვა, რომ გარემოზე ზემოქმედება ხელახლა შეფასდება და ხელშეკრულების ექსპერტიზა ჩატარდება დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ, ნეტავი, რას აპროტესტებს ამ ჯგუფის ორგანიზატორი და რა არის მოთხოვნები, თუ არა ის, რომ საერთოდ გაუქმდეს პროექტი? ეს დამოკიდებულება მიუღებელია ისევე, როგორც ულტიმატუმებით საუბარი. ეს არ არის ფორმა, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს.

ძალიან სერიოზული კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ამ აქციების რეალური მიზეზი. მეტი საჯარო განმარტება უნდა გაკეთდეს აქციის მონაწილეების მხრიდან. საქართველოს სტრატეგიული ინტერესია, რომ გაიზარდოს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხი და საქართველოში ენერგო სისტემამ გამოიმუშაოს მეტი ელექტროენერგია. ეს პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკურ ზრდასთან და ახალ სამუშაო ადგილებთან. როცა ყველა კითხვაზე იყო პასუხი და დიალოგზე არის მზადყოფნა, ეს პროტესტი რას ემსახურება და მიმართული არის თუ არა საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის წინააღმდეგ? ეს არის მთავარი კითხვა, რაზეც პასუხები უნდა მოვისმინოთ“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ირაკლი ქადაგიშვილი: დესტაბილიზაციის სურათი იკვეთება – ეკოლოგიის მომხრეები არიან თუ ქვეყნის ოკუპაციის?!

„ნამახვანჰესთან“ დაკავშირებით ჩვენ ძალიან ბევრი ფორმატი შევთავაზეთ იმ ადამიანებს. მათ კონკრეტულად ჰესთან დაკავშირებული პრობლემატიკა თუ აინტერესებთ, ეს იქნება ეკოლოგიური საკითხები, გარემოსდაცვითი საკითხები თუ ჰესის ეკონომიკური შინაარსი, უამრავი ფორმატია ამისთვის შეთავაზებული, – ამის შესახებ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

„გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემაც შესთავაზა, რომ საქმიანი შეხვედრა შემდგარიყო და ესაუბრათ, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჰესი უკვე არის ერთგვარი მიზეზი და რეალური მიზნები შეიძლება აბსოლუტურად სხვა ჰქონდეთ. დესტაბილიზაციის სურათი იკვეთება.

პროტესტი თითქოსდა ეკოლოგიური მოთხოვნებით დაიწყო და ახლა იმუქრებიან, რომ ქვეყანას გავაჩერებთ და კრიზისში ჩავაგდებთ, 26 მაისის დღესასწაულს ქვეყანას არ ვაზეიმებთ. ვინ არიან? ეკოლოგიის მომხრეები არიან თუ ქვეყნის ოკუპაციის მომხრეები? რა გააკეთეს ამ ქვეყნისთვის ისეთი, რომ დღეს ქვეყნის გაჩერების რესურსი აქვთ?! ამ ქვეყანას გასაჩერებელი რა სჭირს. წავიდნენ, იშრომონ და საქმე გააკეთონ“, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

სოზარ სუბარი: როდესაც ცდილობ, დამოუკიდებლობის დღე ჩაშალო, ამით მტრების წისქვილზე უშვებს წყალს

ძალიან არ მინდა, რომ მათ ნებსით თუ უნებლიეთ შეასრულონ იმ ადამიანების თამაში, ვისთვისაც დამოუკიდებლობა არაფერს ნიშნავს და რომლებსაც პრაქტიკულად ოკუპანტი ან მისი მომხრეები ჰქვიათ, – ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე სოზარ სუბარი „ნამახვანჰესის“ მშენებლობის მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლის, ვარლამ გოლეთიანის განცხადებას.

„არავის მივცემთ ამის გაკეთების უფლებას და ბუნებრივია, თუ კანონის დარღვევას ეცდებიან, კანონი ამოქმედდება. როდესაც ცდილობ, დამოუკიდებლობის დღე ჩაშალო, ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამ წყალს. არ მინდა, დავიჯერო, რომ ეს ხდება ნებსით. შეიძლება გადაკეტო ერთი ქუჩა. ეს არ ჯდებოდეს კანონის ფარგლებში, თუმცა ზოგჯერ ჩვენ რაღაცაზე ვხუჭავთ თვალს, მეტის უფლებას ვაძლევთ აქციის მონაწილეებს. ჩემი მყარი რწმენაა, რომ კარვის გაშლა მანქანების ან მოქალაქეების სავალ ნაწილზე არანაირად არ ჯდება შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლებაში. გზის გადაკეტვის შემთხვევაში, შეიძლება მოვითმინოთ ერთი დღე, ორი დღე, მაგრამ მთლიანობაში ეს არის დაუშვებელი. ამით ისინი დისკომფორტს უქმნიან ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენი ქალაქის სტუმრებს და როცა ასე ძალიან მტრულ განცხადებებს აკეთებენ, რომ ისინი მოახდენენ დედაქალაქის პარალიზებას, მინდა, მეგობრულად ვურჩიო, არც ეცადონ, ვინაიდან არავის მივცემთ ამის უფლებას. თბილისის პარალიზების უფლებას არავის მივცემთ, მაგრამ არც იმას გავიმეორებთ, რაც მოხდა 2011 წლის 26 მაისს, როცა ალყაში მოაქციეს მშვიდობიანი მომიტინგეები და უსასტიკესად სცემეს თითოეული მათგანი ისე, რომ მათ არ ჰქონდათ გაქცევის საშუალება“, – აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ნათია თურნავა: ხელისუფლება მზად არის „ნამახვანჰესზე“ დიალოგისთვის

ხელისუფლება მზად არის დიალოგისთვის, კონკრეტული საგნობრივი დიალოგისთვის პროექტთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს დიალოგი არ უნდა გასცდეს თვითონ პროექტს და ენერგეტიკის დარგზე საუბარს, არ უნდა გადავიდეს რადიკალიზმში, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ გუშინ განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლების ნებისმიერი შტო მზად არის დიალოგისთვის.

„კვლავაც ვადასტურებ, რომ შექმნილია ძალიან კარგი საქმიანი პლატფორმები, სადაც ასეთი ტიპის საკითხები უნდა ირჩეოდეს, უნდა განიხილებოდეს ექსპერტების თანდასწრებით. ეს არის ექსპერტთა საბჭოს შექმნის მოწოდება და ყველა კვლევის განხილვა, ეს არის საერთაშორისო მედიატორები და ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების მედიატორის ჩართულობის პლატფორმა. ასევე, ჩვენი ხელისუფლების ნებისმიერი შტო მზად არის, რომ კონკრეტულად, სამუშაო ჯგუფებში, კონრეტულ ექსპერტებთან ერთად ნებისმიერი საკითხი განიხილოს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გაჭირდება ქუჩაში, ბლოკირებით, პარალიზებითა და ა.შ.“, – განაცხადა ნათიათურნავამ.

კრემლის მორიგი „ანკესი“ თბილისისთვის?

რამდენიმე დღის წინ რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგორი კარასინმა რუსულ მედიას ტრადიციულად გაუზიარა რუსეთ-საქართველოს ორმხრივი დიალოგის ფორმატის ფარგლებში გამართული მორიგი შეხვედრის მისეული ვერსია, თუმცა საინტერესოა, რომ რიგი დეტალები საქართველოს მთავრობის ოფიციალურ რელიზში არ მოხვდა.

კერძოდ, კარასინის კომენტარი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მხარეები ფორმატის დეკლარირებულ მიზნებს გასცდნენ, რაც ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებზე მსჯელობას გულისხმობს: **„რეგიონული პრობლემატიკის განხილვისას ყურადღება მივაქციეთ შესაძლებლობებს, რომლებიც ამიერკავკასიაში აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერების 2020 წლის 9 ნოემბრისა და 2021 წლის 11 იანვრის ერთობლივი განცხადებების კონტექსტში სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და ეკონომიკური კავშირების განბლოკვის კუთხით იქმნება“,** – ამბობს კარასინი, თუმცა როგორ ხედავს ამ შესაძლებლობებს კრემლი, კარასინს აღარ უსაუბრია.

„აქცენტი“ კარასინის ვერსიის გადამოწმებას საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელ **ზურაბ აბაშიძესთან** შეეცადა და როგორც ირკვევა, განსხვავებულია კონტექსტიც დ შინაარსიც: კერძოდ, ზურაბ აბაშიძის ვერსიის თანახმად, საკითხზე მსჯელობა არ გამართულა, ხოლო თავად თემა რუსმა ჩინოვნიკმა არა რეგიონული პრობლემატიკის განხილვისას (როგორც კარასინი ირწმუნება), არამედ საქართველო-რუსეთს შორის არსებულ სატრანსპორტო კავშირებზე საუბრისას ახსენა.

„მოვისმინე, მაგრამ განხილვა არ მომხდარა. მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იყო მისი (კარასინის – რედ.) მხრიდან: ჩვენ ვისაუბრეთ ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ და სატრანსპორტო კავშირებზე, როგორია დინამიკა ბოლო ერთი წლის განმავლობაში და სატრანსპორტო კავშირების განხილვისას, ახსენა მან ძალიან მოკლედ, ორიოდ წინადადებით, რომ რუსეთი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ამ ცნობილი შეთანხმების საფუძველზე მუშაობს. ეს იყო და ეს“ – განაცხადა „აქცენტთან“ ზურაბ აბაშიძემ.

„აქცენტი“ დაინტერესდა, ამავე კონტექსტში იყო თუ არა ნახსენები საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი და რუსეთ-საქართველოს 2011 წლის შეთანხმება, რაზეც უარყოფითი პასუხი მივიღეთ. კერძოდ, ზურაბ აბაშიძე ამბობს, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი „არც ერთი სიტყვით არ ხსენებულა“, და არც თავად 2 ყოფილა ამ კონტექსტში საუბარი.

ინფორმაციისთვის: საბაჟო ადმინისტრირებისა და ტვირთბრუნვის მონიტორინგის შესახებ შეთანხმებას საქართველომ რუსეთთან 2011 წლის ბოლოს, ამ უკანასკნელის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში მოაწერა ხელი. შეთანხმება შვეიცარიული კომპანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემავალი ტვირთების მონიტორინგს გულისხმობს, თუმცა დოკუმენტის იმპლემენტაცია ამ დრომდე არ დაწყებულა. ოფიციალურმა თბილისმა არაერთგზის განმარტა, რომ პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც კი ეს გზა არ იქნება საერთაშორისო, თუმცა რუსული პროპაგანდა საპირისპირო ვერსიის შემოთავაზებას ცდილობს.

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ეკა აკობია** საკითხს ჰიბრიდული ომის კონტექსტში განიხილავს.

აკობიას ანალიზის თანახმად, „რუსეთი ცდილობს, საქართველოსთან ორმხრივ დიალოგის ფორმატში სამმხრივი თუ ექვსმხრივი ფორმატის საკითხები გაიჩინოს“: **„ეს რუსული თამაშის ნაწილია: ცდილობს ჩვენებას, თითქოს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის ეტაპი 2012 წლიდან არსებობს, თითქოს რუსეთ-საქართველოს შორის ახალი დღის წესრიგი გაჩნდა და ძველი საკითხები აღარაა აქტუალური, თითქოს არსებობენ ადამიანები, რომლებიც „ახალ რეალობას“ აღიარებენ. მედიისთვის „გადმოგდებული“ რამდენიმე ფრაზის მეშვეობით ახორციელებენ საკითხის ფორსირებას“.**

მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატისადმი აკობია ოპტიმისტურად არაა განწყობილი, მას აბაშიძის სიტყვებში ეჭვი არ შეაქვს, დარწმუნებულია რა, რომ საკითხის განხილვის ინიციატორი ქართული მხარე არ იქნებოდა და მას მაქსიმალურად მოკლე დროც დაეთმობოდა, რადგან მისი განმარტებით, კონკრეტული დერეფანი საქართველოსთან არც გეოგრაფიული, არც „შესაძლებლობების“ თვალსაზრისით არაა კავშირში. ის საქართველოსთვის საინტერესო პროექტებზე ამახვილებს ყურადღებას:

„აზერბაიჯანს და თურქეთს აქვთ შესაძლებლობა, აღმოსავლური ტვირთი გამოუშვას დასავლეთისკენ რუსეთის გვერდის ავლით, სწორედ ამისთვის არსებობდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანზე ორიენტირებული სხვადასხვა პროექტები, მათ შორის „აბრეშუმის გზა“, მაგრამ ეს პროექტები რუსეთის აქტიური მოქმედებებით, ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადის, ხოლო წინა პლანზე იწევს ჩრდილოეთ-სამხრეთის მარშრუტზე ორიენტირებული პროექტები (მათ შორის, აზერბაიჯანიდან ირანული და სხვა აღმოსავლური ტვირთის ასტრახანისკენ (რუსეთი – რედ) გადამისამართებაზე), რაც საქართველოსთვის და დასავლეთისთვის პრობლემატურია: ჩვენი ინტერესია, არა რუსეთის ჩართულობით პოლიტიზირებული, არამედ პოლიტიკისგან თავისუფალი მარშუტებით ტვირთის მოძრაობას შევუწყოთ ხელი“.

აკობია თვლის, რომ „ფუჭი დიალოგი“ კრემლის მიერ ორგანიზებული სტრატეგიაა.

რაც შეეხება უშუალოდ აზერბაიჯანიდან სომხეთის გავლით თურქეთისკენ მიმავალ დერეფანს, აკობია საქართველოსთვის პრობლემას არა თავად დერეფანში, არამედ რეგიონში აქტივობისთვის რუსეთის ხელთ არსებულ დამატებით ბერკეტებში ხედავს:

თავად ნახიჩევანის დერეფანი აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანია: მისი ანკლავია და მასთან დაკავშირება ბაქოს ეროვნული ინტერესია. საკითხი პრობლემურია სომხეთისთვის, რადგან მესამე ქვეყანას სომხეთის ტერიტორიაზე ტრასების გაკონტროლების უფლება ეძლევა. ზოგადად, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისთვის პრობლემატურია, რომ რუსეთს რეგიონში აქტივობისთვის დამატებითი ბერკეტი ეძლევა. ამდენად, ეს თემა მრავალი მხრიდან არის პრობლემატური და სწორად შეფასება გვმართებს“, – ამბობს ეკა აკობია.

ქვეყანამ სიჩქარე აკრიფა

მშპ დაგეგმილზე მეტად გაიზრდება



ეკონომიკის აღდგენა ყველაზე ოპტიმისტურ სცენარზე სწრაფად მიდის. მთავრობა ამბობს, რომ დაგეგმილი მაჩვენებელი აუცილებლად შესრულდება. „თიბისი კაპიტალში“ ელიან, რომ წლის ბოლოსთვის ზრდა 5%-ზე მეტი იქნება. ეკონომისტებიც გადაჭარბებაში დარწმუნებულნი არიან. ცოტა ხნის წინ გაკეთებული საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლა, რომ თითქოსდა წელს მშპ-ს ტემპი მხოლოდ 3.5% იქნებოდა, უკვე არარეალური აღმოჩნდა.

ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციით, აპრილში ყველა სექტორში შეინიშნება ბრუნვების ზრდა, გაზრდილია ექსპორტი, ასევე, შეინიშნება იმპორტის ზრდაც! ზრდის ტენდენციით ხასიათდება სავაჭრო ბრუნვა. ამაზე დაყრდნობით, საქართველოს ფინანსთა მინისტრი აპრილში მარტში დაწყებული ეკონომიკური ზრდის ტემპის გაგრძელებას ელის. **ლაშა ხუციშვილის** წინასწარი ინფორმაციით, მარტის 4%-იანი ზრდის ტემპი, აპრილში კიდევ უფრო მოიმატებს.

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარტის 4%-იანი ზრდის ტრენდი აპრილში კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური ზრდა, რომელიც წელს ბიუჯეტში გვაქვს განსაზღვრული - 4.3 პროცენტი, ამ მოცემულობიდან გამომდინარე, არის რეალური“, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე შეფასებით, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ასევე, მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში ეკონომიკური აქტივობის შეჩერების შემდეგ, მარტში პირველად დადასტურდა 4%-იანი ზრდა, რაც პირველი ნიშანი იყო, რომ ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური ზრდის აღდგენა. ხუციშვილის განმარტებით, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დინამიკა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და, პირველ რიგში, ესაა პანდემია, ამიტომაც მინისტრი აუცილებლობად მიიჩნევს ვაქცინაციის ტემპის ზრდას.

უფრო იმედიანად არიან „თიბისი კაპიტალში“. ორგანიზაციის მთავარი ეკონომისტი **ოთარ ნადარაია** მიიჩნევს, რომ ეკონომიკა დაგეგმილზე მეტად გაიზრდება.

„ვფიქრობთ, 5%-ზე მეტი უნდა იყოს ზრდა, არ გაგიკვირდეთ და შესაძლოა 6%-იც. შემცირებული პროგნოზი, ანუ 3.5% მათემატიკურად გამორიცხულია. დიდი მატება გვექნება მეორე კვარტალში საბაზო ეფექტის გამო, შემდეგ მე-3 და მე-4 კვარტალში ზომიერი ზრდის შემთხვევაშიც კი, 5%-ზე მაღალი შედეგის მიღწევა რთული არ იქნება“, — განაცხადა „ბიზნესპარტნიორთან“ თიბისი ბანკის უფროსმა ანალიტიკოსმა.

მისი თქმით, წელსვე საკმაოდ მაღალი ინფლაციაა ნავარაუდევი. წლის ბოლოსკენ 9%-ის ნიშნულზე, რაზეც ზეწოლას საერთაშორისო ბაზარზე სასაქონლო ჯგუფების გაძვირებაც ახდენს.

ოთარ ნადარაია არ გამორიცხავს, რომ ამ ფონზე ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება მოუხდეს, თუმცა მიიჩნევს, რომ ასარჩევია ფულის გაძვირებით ინფლაციის კლებაზე გაკეთდეს ფსონი, თუ გრძლევადიან პერიოდზე გათვლილი გადაწვეტილების მიღება მოხდეს.

გარემოებები, რომელიც ეკონომიკასა და ეროვნულ ვალუტაზე გავლენას ახდენს, გაუმჯობესებულია. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ფინანსისტი **გიორგი ცუცქირიძე** და მისი მოლოდინი მხოლოდ პოზიტიურია.

„აპრილში 70%-იანი ზრდა გვქონდა ექსპორტის მიმართულებით. გაუმჯობესება არის არა მარტო ექსპორტის მხრივ, არამედ საგარეო სავაჭრო ბალანსის დეტიფიტშიც. მარტივად რომ ვთქვათ, უფრო მეტი ვალუტა შემოვიდა, ვიდრე ქვეყნიდან გავიდა. ასევე პოზიტიური დინამიკაა ფულადი გზავნილების გადმორიცხვის მხრივაც. როდესაც ინვესტიციების მაჩვენებლი შემცირებულია, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაბალანსება ხდება ექსპორტით და მათ შორის სხვა სავალუტო შემოდინებებითაც.

გარდა ამისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ეკონომიკური ზრდა. ჯერ აპრილის დაზუსტებული მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ, ჩემი გათვლებით, მინიმუმ 8%-იანი მატება იქნება. უკვე მაისში ვნახავთ, რომ ჩვენი ეკონომიკის ზრდის საშუალო მაჩვენებელი დადებითში გადავა. აქედან გამომდინარე, ჩემი მოლოდინი მხოლოდ პოზიტიურია“, — აღნიშნა გიორგი ცუცქირიძემ.

ბექა დანელია

ქართული წარმოების პროდუქციის შეძენის ეკონომიკური ეფექტები

პანდემიური კრიზისი საქართველოსთვის კრიტიკულად რთული აღმოჩნდა, განსაკუთრებით ტურისტული შემოსავლების კლების მხრივ, რაც წარსულში როგორც მშპ-ს ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყარო იყო. ეკონომიკის განვითარების, სიღარიბის შემცირებისა და საშუალო სტატისტიკური მოქალაქისთვის შემოსავლების ზრდის, ანუ საშუალო ფენის გაძლიერებისთვის, ქვეყანას კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება.

რიგითი მყიდველის ერთჯერადი გადაწყვეტილების გავლენა მთლიან ეკონომიკაში მცირეა, თუმცა, როცა ადამიანების შედარებით მსხვილი ჯგუფი, გრძელვადიან პერიოდში, საბაზრო გადაწყვეტილებას კონკრეტული, ეროვნული წარმოების პროდუქციის შეძენის ინიციატივით იღებს, ეფექტის დადებითი მასშტაბი ხელშესახები ხდება. უფრო მეტიც, ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების ეგიდით რიგი ქვეყნები, მათ შორის აშშ, ხშირად მკვეთრად პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებენ, თუმცა, ამას ცალკეული უარყოფითი შედეგები მოსდევს, ხოლო ინდივიდუალური, თავისუფალ ნებაზე დამყარებული საბაზრო გადაწყვეტილებები როგორც მორალურად, ასევე ეკონომიკურად ბევრად უფრო გამართლებულია. ქვემოთ, ადგილობრივი წარმოების საქონლისა და მომსახურების შეძენის ცალკეულ დადებით ეფექტებს წარმოგიდგენთ.

ლარის კურსის გაძყარება

საქართველოში იმპორტი ექსპორტს მუდამ აღემატება. **სავაჭრო დეფიციტი, ანუ სხვაობა საქონლის ექსპორტსა და იმპორტს შორის ბოლო წლებში დაახლოებით 5.5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც სამწუხაროდ, საქართველოსთვის საკმაოდ სოლიდური მაჩვენებელია და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ მესამედს აღწევს.**

ვალუტის გადინება იმპორტული საქონლის შესაძენად, ლარის კურსზე უარყოფითად მოქმედებს. მეორეს მხრივ, ადგილობრივი წარმოების საქონლისა და მომსახურების შერჩევა იმპორტულის სანაცვლოდ, უცხოეთიდან იმპორტს ამცირებს, რაც დადებითად მოქმედებს, როგორც ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის შემცირებაზე, ასევე ლარის კურსზე. მაგალითად, როდესაც მომხმარებელი მაღაზიაში არჩევანს ქართული წარმოების ზეთზე, ან კარაქზე აკეთებს, ამ ერთი შეხედვით მარტივ გადაწყვეტილებას მრავალი დადებითი ეკონომიკურ ეფექტი მოჰყვება, მათ შორის არის ქვეყნიდან ვალუტის გადინებისა და იმპორტის შემცირება, რაც ეროვნული ვალუტის სიძლიერეზე მარტივად გასაგებ და ხელშესახებ გავლენას იქონიებს.

სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა

ადგილობრივი წარმოების პროდუქციის შეძენის გადაწყვეტილებების მატებასთან ერთად, მათზე მოთხოვნა იზრდება, რასაც შესაბამისი მიწოდების ზრდის შედეგად სამუშაო ადგილების ზრდა და ქართული ბიზნესის გაძლიერება მოსდევს. ადგილობრივ საქონელზე ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ინვესტიციების და კაპიტალის ზრდასაც იწვევს, რასაც ეკონომიკის როგორც მთლიანი, ისევე ცალკეული დარგების სწრაფი განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამას „აქსელერატორის ეფექტსაც“ უწოდებენ.

მეორე მხრივ, ვინაიდან ფულს სხვაგვარად „ეკონომიკის სისხლადაც“ მოიხსენიებენ, ადგილობრივი ეკონომიკისა და ინვესტიციების ზრდასთან ერთად, ფულის ადგილობრივ ეკონომიკაში ბრუნვა სარგებელს მრავალ ადგილობრივ ეკონომიკურ სუბიექტს მოუტანს. მაგალითისთვის, 100 ლარის მოცულობის ქართული პროდუქციის ერთჯერად შეძენისას, ეს ფული პროდუქტის შექმნასა და განაწილებაში მონაწილე ადამიანების სასიკეთოდ გადანაწილდება და ისინი, ამ შემოსავლის ნაწილს, ასევე ადგილობრივ საქონელზე (მომსახურებაზე) დახარჯავენ, რაც ფულის ბრუნვის, ანუ რეალური ეკონომიკური საქმიანობის ახალი წრეების გაჩენასა და ეკონომიკურ ზრდაში გამოიხატება. საბოლოო ჯამში, კონკრეტული შენაძენის შემდეგ, ადგილობრივი ეკონომიკა იმაზე დიდი მასშტაბით ვითარდება, ვიდრე ცალკეულმა მომხმარებელმა ერთჯერადად კონკრეტული პროდუქტის (მომსახურების) შეძენისას დახარჯა. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები შენაძენის შედეგად, ეკონომიკა 100 ლარზე ბევრად მეტად გაიზრდება. აღნიშნულს, სხვანაირად „მულტიპლიკატორის ეფექტი“ ეწოდება. მულტიპლიკაციის ეფექტს უარყოფითი მიმართულებაც გააჩნია. თუ მაგალითად ხარჯვა მცირდება 100 ლარით, ამან შესაძლოა, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება ბევრად უფრო დიდი მასშტაბით გამოიწვიოს, რაც კონკრეტული ადამიანების ცხოვრების პირობების გაუარესებაში გამოიხატება.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა

მთლიანი შიდა პროდუქტი, ყველაზე „პოპულარული“ ეკონომიკური ინდიკატორია, რომელიც ყურს საკმაოდ ხშირად ხვდება. **თუმცა, მნიშვნელოვანია, მაჩვენებლის არსი გვესმოდეს. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე საბოლოო მოხმარებისთვის წარმოებული საქონლისა და მომსახურების** მოცულობას აჩვენებს, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზომისა და მასშტაბების საზომია.

მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი, ქვეყნისთვის მეტ სიმდიდრეს ნიშნავს. ბუნებრივია, რომ ადგილობრივ ნაწარმზე მოთხოვნის ზრდა, ნახსენები აქსელერაციის და მულტიპლიკაციის ეფექტების გარდა, იმპორტის შემცირებას იწვევს, რაც მთლიან შიდა პროდუქტს კიდევ უფრო ზრდის. აღნიშნული, კარგად ჩანს უშუალოდ მშპ-ს გამოთვლის მეთოდიკიდანაც. მშპ=C+I+G+NX, სადაც S მოხმარებას წარმოადგენს, I ინვესტიციებს, G სახელმწიფო შესყიდვებს, ხოლო NX წმინდა ექსპორტს, ანუ ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას. აღნიშნული ფორმულიდანაც ჩანს, რომ იმპორტის ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს ამცირებს. ამრიგად, შესაბამისი ჩამანაცვლებლის არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის შეძენა იმპორტულის სანაცვლოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს.

ვინაიდან საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, ხშირად, იმპორტულ საქონელს ადგილობრივი შემცვლელი არ აქვს (მაგ: ელექტრონული ტექნიკა, ავტომობილები) ან რიგ შემთხვევებში, მომხმარებელი უცხოურ საქონელს ადგილობრივთან შედარებით უპირატესობას ხარისხობრივი ან ფასის ნიშნით ანიჭებს (მაგ: გერმანული ლუდი ქართულზე მაღალი ხარისხისაა, ან თურქული პომიდორი უფრო იაფია). თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი უნდა იყოს, პროდუქტი ადგილობრივია თუ უცხოური და თუ კომპრომისი დასაშვებია, უკეთესია არჩევანი ადგილობრივი წარმოების სასარგებლოდ გაკეთდეს, რადგან აღნიშნული დადებითად მოქმედებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად, თითოეულ ინდივიდზეც. მეორე მხრივ, როდესაც მომხმარებლისთვის კონკრეტულ შემთხვევებში, ეროვნული და უცხოური საქონლის ხარისხს (ფასს) შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს, ბუნებრივია, ადგილობრივი პროდუქციის შეძენის მყარი სტიმული და მუდმივი მოტივაცია, მით უფრო უნდა არსებობდეს.

ვახტანგ დემურია

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ?

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, რომელიც საბჭოთა პერიოდში საკავშირო ელიტის საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო, დღეს გაპარტახებულია. ტურისტების კატეგორიების მრავალფეროვნება წარსულს ჩაბარდა, კარგი სასტუმროები სულ რამდენიმეა.

და ეს მაშინ, როდესაც ტურიზმი რესპუბლიკის ეკონომიკის ერთადერთი მეტ-ნაკლებად ცოცხალი დარგია როგორც ბიუჯეტისთვის, ასევე რიგითი მოქალაქეებისთვის.

იმის მიუხედავად, რომ რუსეთი აფხაზეთს ფაქტიურად არჩენს, რუსული ბიზნესი აფხაზეთის საკურორტო სამოთხედ ქცევას არ ჩქარობს. რატომ?

პირველი ისაა, რომ აფხაზეთს საერთაშორისო აღიარება არ გააჩნია და მის ტერიტორიაზე საქმიანობა უკანონოდ ითვლება. ამიტომაც ბევრი მსხვილი კომპანია, უცხოურიც და რუსულიც, აფხაზეთში მუშაობის დაწყებას ერიდება. თუმცა, ეს ერთადერთი შემაფერხებელი გარემოება არაა.

საინვესტიციო აქტიურობას თავად აფხაზეთი აფერხებს — პირველ რიგში საკუთრების თუნდაც მინიმალური დაცვის არარსებობით. მოსკოვს ეს ვითარება დიდად არ მოსწონს და აფხაზეთის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ითხოვს — პირველ რიგში უცხოელებისთვის მიწების და უძრავი ქონების ყიდვის უფლების მინიჭებას.

თუმცა, წლები გადის, აფხაზეთი კი ამ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. რუსებს აფხაზეთში უძრავი ქონების ყიდვა დღესაც შეუძლიათ, ოღონდ იმ პირობით, რომ ის ადგილობრივზე გაფორმდება, ეს კი ფულის დაკარგვის ძალიან მაღალ ალბათობას ქმნის.

ასე რომ, რუსული ბიზნესი აფხაზეთში შესვლას ერიდება, ეს კი ეკონომიკურ კრიზისს აღრმავებს.

ერთი შეხედვით, აფხაზეთში ინვესტირებისთვის საუკეთესო სფერო ტურიზმია — იდეალური კლიმატის და წარმოუდგენლად ლამაზი ბუნების გათვალისწინებით. თუმცა, რეალურად ტურისტულ ინდუსტრიაში მოსახლეობის მცირე ნაწილი მუშაობს, რადგანაც აფხაზეთში ძირითადად ღარიბი რუსები ჩადიან და ამ სფეროში დიდი ფული არ ტრიალებს.

აფხაზეთს ნაკლებად მიმზიდველად ასევე მძიმე კრიმინოგენური ვითარება, წყლის და ელექტროენერგიის მომარაგებაში არსებული გადაუჭრელი პრობლემები ქმნიან.

მაისში აფხაზეთში მორიგი ტურისტული ფორუმი ჩატარდა, რომელზეც, როგორც ყოველთვის, ითქვა, რომ ამ სეზონზე რესპუბლიკაში მილიონზე მეტი ტურისტი ჩავა. მათ იტანენ ფულის გამო, თუმცა, რუსების ჩასვლა საცხოვრებლად არ სურთ.

„რუსების აქ დიდი რაოდენობით ჩამოსვლა სუვერენიტეტის და ენის დაკარგვით დასრულდება“, — ამბობენ აფხაზები.

სხვა პრობლემებთან ერთად ტურიზმს ადგილობრივი კურორტების წარსული დიდების აღდგენა და ელემენტარული სერვისი აკლია. აფხაზებმა სტუმრების მომსახურება, მიმტანების, ბარმენების, მენეჯერების და ტურიზმის გამართული მუშაობისთვის აუცილებელი სხვა პროფესიების მომზადება ჯერაც ვერ ისწავლეს.

ტურისტების ნაკადს ასევე აფერხებს სატრანსპორტო პრობლემები — მაგალითად, საზღვრის გადაკვეთა მდინარე ფსოუზე ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო ავიამიმოსვლა არ არსებობს და მისი აღდგენის პერსპექტივები ჯერჯერობით არ ჩანს.

თანაც, საბჭოთა პერიოდში განთქმული კურორტები ფაქტიურად არ არსებობს — არ არის არც ინფრასტრუქტურა, არც აღჭურვილობა და არც კადრები.

კიდევ ერთი პრობლემაა საბანკო ბარათები, რომლებსაც ბევრ ადგილას საერთოდ არ იღებენ, ხოლო სასტუმროების, რესტორნების და სხვა ტურისტული ობიექტების უმრავლესობა მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით მუშაობს.

მოკლედ, აფხაზეთი თანამედროვე ცივილიზაციას დიდწილად უიმედოდ ჩამორჩება, ამიტომაც, როგორც ადგილობრივები წუწუნებენ, იქ „მხოლოდ ღარიბები ჩადიან“. მეტიც, ტურისტების მნიშვნელოვანი ნაწილი სოჭიდან, 1-დღიანი ექსკურსიით ჩადის და აფხაზეთისთვის თითქმის არანაირ მოგება არ მოაქვს.

გარდა ამისა, აფხაზეთში „იაფი დასვენება“ — ამ წელს არც თუ ისე იაფია — ყოველ შემთხვევაში, თურქეთში დასვენება უფრო იაფია, რომ არაფერი ვთქვათ კომფორტზე.

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲦᲐᲠᲘᲑ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲣᲚ ᲠᲣᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲕᲘᲐᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ.

ᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲢᲐᲢᲘᲡ „ROSBALT.RU“-ᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ „ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘᲡ“ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔ

ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ?!

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ სახელმწიფოში, კრიზისი აფხაზეთის თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში. იმედების კრახი. სულში — სიცარიელე!.. მოკლედ ასე შეიძლება, აღიწეროს ვითარება რესპუბლიკაში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ნათელი მომავლის გეგმებს სახავდა.

ეპიდემიამ უკვე ასობით ადამიანის სიცოცხლე წაგვართვა. მოქალაქეთა უფლებებისა დ თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა იზრდება. უმუშევრობა, პენსიებისა და ხელფასების არგაცემა, ფასების ზრდა... ამ ყველაფერს კი საშინელი საფრთხე დაემატა, რომელიც აფხაზეთისთვის გლობალური მასშტაბის პრობლემად ყალიბდება. ვგულისხმობ თვითმკვლელობების გახშირებას.

კვირის განმავლობაში აფხაზეთში თავს იკლავს საშუალოდ 5-მდე ადამიანი, რომელთა ასაკი 26 წელს არ აღემატება. ცნობები ახალგაზრდების სუიციდის შესახებ სოციალურ ქსელებში ათასობით კომენტარს აგროვებს, თუმცა პასუხს მთავარ კითხვაზე — რატომ?!, მათში ვერ იპოვით.

დარწმუნებული ვარ, სამართალდამცველ ორგანოებს გააჩნიათ მსგავსი შემთხვევების ზუსტი სტატისტიკა, მაგრამ თავისუფალ წვდომაში იგი არ არის. მის გარეშე კი შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში თვითმკვლელობების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და თვითმკვლელთა შორის ახალგაზრდობა სჭარბობს.

„ჩვენს ქვეყანაში საშინელებები ხდება. ახალგაზრდები იღუპებიან ნარკოტიკებისგან, ავტოსაგზაო შემთხვევებში, ან თავს იკლავენ. ყველა ეს ფაქტი დასტურდება, თუმცა მიზეზებს არავინ იკვლევს. და ეს ძალიან გვაშფოთებს. მოქალაქეთა სულიერი პრობლემები ჩვენს საზოგადოებას თვითგანადგურებამდე მიიყვანს“, — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე მარია. მისი აზრით, მსგავს კრიზისულ პირობებში, როცა ახალგაზრდობაც კი „წერტილამდეა“ მიყვანილი, ანტიკრიზისული ფსიქოლოგიური მიმართულების გაძლიერებაა საჭირო. **„მაგრამ აფხაზეთში პროფესიონალი ფსიქოლოგების კუთხით პრობლემა გვაქვს, ხოლო ისინი, ვინც ამ მიმართულებით მუშაობს, დატვირთვას ვერ უძლებენ. მოქალაქეთა პრობლემები დიდი სისწრაფით იზრდება და ამ ვითარებაში ორი-სამი ფსიქოლოგი არაფერს ეყოფა. უნდა არსებობდეს სახელმწიფო პროგრამა, სხვადასხვა პროექტები, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდობას ამ მძიმე პერიოდის გადატანაში დაეხმარება“,** — დარწმუნებულია მარია.

დიახ, ყველა ახალგაზრდა სუსტი და მოწყვლადი არ არის, მაგრამ ადგილობრივი სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ „გარკვეულ სირთულეებს თითქმის ყველა მოზარდი და 30 წლამდე ახალგაზრდა განიცდის“. ამასთან, არსებული პრობლემების ვინმესთვის გაზიარება მათ არა მხოლოდ არ შეუძლიათ, არამედ არც სურთ. **„საზოგადოება გვაქვს ასეთი. სირცხვილია, ვინმეს დახმარებისთვის მიმართო, თუ ოჯახში ნარკოდამოკიდებული ან ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე წევრი გყავს. თითოეული საკუთარი ძალით ცდილობს გამკლავებას და საზოგადოებას პრობლემების არსებობის ფაქტს უმალავს“,** — ამბობს ფსიქოლოგი ალექსანდრა.

„ჩვენში სირცხვილია, გაამხილო, რომ პრობლემური შვილი გყავს. ჩვენს ქვეყანაში ეს საჯარო დამცირების ტოლფასია. ამიტომაცაა, რომ ნათესავები ყველაფერს მალავენ. თანაც, ვის და როგორ მიმართონ? თუ ექიმი პაციენტის პრობლემებს მარჯვნივ და მარცხნივ ყველას უყვება, სადაა იმის გარანტია, რომ ფსიქოლოგი დაიცავს კონფიდენციალურობას? ჰოდა, ყველა თავის პრობლემებში იხარშება — როგორც ზრდასრულები, ისე მოზარდები და ახალგაზრდები“, — ყვება ჩვენი თანამოსაუბრე გივი.

ადამიანის უფლებების დარღვევის, ძალადობის (მათ შორის — ოჯახურის) თემა აფხაზეთისთვის არახალია. ყოველ ჯერზე ადგილობრივი მედია ამცნობს მსოფლიოს იმ განუკითხაობის შესახებ, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხდება. მაგრამ ყოველ ჯერზე ვითარებაზე რეაგირების ნაცვლად, ხელისუფლება დუმს და არაფერს იმჩნევს. პრობლემა არა მხოლოდ ნარჩუნდება, არამედ იზრდება. სახელმწიფო კი კვლავინდებურად უმალავს სიმართლეს საზოგადოებას, რომელიც დახმარებას კვლავ უშედეგოდ ითხოვს.

„ჩვენ ბედის ანაბარა ვართ მიტოვებულები. ჩვენი ღატაკი ცხოვრება რეალითი-შოუდ გადაიქცა, სადაც გადარჩენა დიდი გამართლებაა. არ გვაქვს შუქი, წყალი, ხელფასი, სამსახური, ახლა კი ამ ყველაფერს საშინელი დაავადებაც დაემატა. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ პრობლემები და ვალები აქვს, მაგრამ არ ჩანს გადაწყვეტილებები, იდეები ჩიხიდან გამოსასვლელად. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ჩვენს ამოწყვეტას ცდილობენ და მოზარდი თაობით დაიწყეს, ის კი, როგორც ცნობილია, არა მარტო თითოეული კონკრეტული ოჯახის, არამედ მთლიანობაში აფხაზური სახელმწიფოს მომავალია“, — თვლის ჩვენი რესპონდენტი ზაური.

ყოველი 40 წამის განმავლობაში მსოფლიოში ვიღაც თავს იკლავს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, წელიწადში ეს მსოფლიოს მასშტაბით საშუალოდ 800 ათასი ადამიანია. ყოველდღიურად მსოფლიოში 3000-ზე მეტი მოზარდი იღუპება, წელიწადში კი — 1,2 მილიონი იმგვარი მიზეზებით, რომელთა თავიდან აცილებაც შეიძლებოდა. ამასთან, ორგანიზაციის მონაცემებით, თვითმკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში აღირიცხება, სადაც ახალგაზრდებს შორის სუიციდი სიკვდილიანობის მიზეზების ჩამონათვალში მეორე ადგილს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისგან შორსაა, თვითმკვლელობები აქ ხშირი მოვლენაა. და ცივილიზაციის მიღმა მცხოვრები პატარა ხალხისთვის ეს არა უბრალოდ საშიში ციფრი, არამედ დამღუპველია.

და რას სთავაზობს სახელმწიფო თვითმკვლელობის იდეით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც აცნობიერებს, რომ პრობლემას მარტო ვერ გაუმკლავდება? — მოკლედ თუ ვიტყვით, არაფერს. ამასთან, მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგადად, თვითმკვლელობების პრევენცია სრულიად რეალურია. როგორც ჩანს, ასეა, მაგრამ ეს — სადღაც იქ, დიდ მსოფლიოში და არა აფხაზეთში, რომელმაც ვერა და ვერ ისწავლა რეალურად პირველხარისხოვან საკითხებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრა.

ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝᲐ: საზოგადოებას უწევს, მორიგი მსხვერპლი იგლოვოს და დახმარების გარეშე გააგრძელოს მძიმე ყოფა. ასეთია აფხაზური რეალობა და ვშიშობ, მდგომარეობა არ გამოსწორდება. როგორც იტყვიან, ძირი გახვრეტილია, ხოლო დასასრულია თუ არა ეს — არავინ იცის.

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲐᲕᲘᲫᲑᲐ

(მასალა მომზადებულია საინფორმაციო სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია GRASS-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც ღია საინფორმაციო პარტნიორობის (OIP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება)

სამშობლო არ გაუყიდია!

უზომოდ პატივმოყვარე იყო. ავადმყოფურად ოცნებობდა დიდი მხატვრის სახელზე. ძილშიც და ცხადშიც განუწყვეტლივ ეზმანებოდა, თუ როგორ დაამშვენებდნენ მისი სურათები მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულ მუზეუმებს.

ახალგაზრდა ვან მეეგერენს მუდმივი სიღატაკეც კი ისე არ თრგუნავდა, როგორც თავისი მიჩქმალულ-მიჩუმათებული არსებობა. ქალაქ დელფტში მსახურობდა ხატვისა და ხელოვნების ისტორიის მასწავლებლის ასისტენტად, თვეში 75 გულდენს უხდიდნენ, შიმშილით არა კვდებოდა, მაგრამ უჩინარი მხატვრის ყოფა სულსა და გულს უწამლავდა. სასოწარკვეთილების მორევში ახრჩობდა.



ვან მეეგერენი, ავტოპორტრეტი

ვერაფრით ვერ ურიგდებოდა თავის უღიმღამო ხვედრს. დიდება სწყუროდა.

ჰააგაში გადასახლდა. ბევრს მუშაობდა, ჯიუტად და შეუპოვრად მუშაობდა. ხატავდა პორტრეტებს, ხატავდა სურათებს ალეგორიულ და ბიბლიურ სიუჟეტებზე. მთელ დღეებს ატარებდა მუზეუმებში, დაკვირვებით ათვალიერებდა გამოფენილ შედევრებს და ლამობდა ამოეცნო ჰოლანდიური მხატვრობის ძველ ოსტატთა საიდუმლოებანი.

1922 წელს პერსონალური გამოფენა მოაწყო. თანდათანობით ცნობილი გახდა, როგორც ნიჭიერი პორტრეტისტი. გაუჩნდა პირველი მსხვილი შეკვეთები, პირველი ჰონორარები.

მოგზაურობს ბელგიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში.

ბრიტანელ არისტოკრატებსა და ამერიკელ მილიონერებს მოსწონთ, რომ ვან მეეგერენი თანამედროვეთა პორტრეტებს ამკობს გარდასული ეპოქების ეშხითა და არომატით.

უკან დარჩა გაჭირვების წლები. მხატვარმა სული მოითქვა, მაგრამ სიჭაბუკისდროინდელი ოცნება არ დავიწყებია, კვლავინდებურად აწუხებდა და შთაგონებდა.

ვან მეეგერენს ამხნევებდნენ, აქებდნენ, გულღიად ხვდებოდნენ მაღალ საზოგადოებაში, გამოფენებზე კი მისი სურათები თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა და რეცენზენტები თავიანთ მიმოხილვებში რამდენიმე სტრიქონს თუ უთმობდნენ. სერიოზული კრიტიკა დუმილით გვერდს უვლიდა, ანდა წარსულის მხატვართა მიმბაძველობას საყვედურობდა. მუზეუმებიც ჯერჯერობით თავს იკავებდნენ მისი სურათების შესყიდვისაგან.

ვან მეეგერენი ძალზე მტკივნეულად განიცდიდა თავის უიღბლობას, თუმცა იმედს არ კარგავდა. მტკიცედ სწამდა, რომ ერთხელაც იქნებოდა, მასაც გაუღიმებდა ბედი და დიდ მხატვრად აღიარებდნენ.

სულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, გენიოსი ვარო. ხოლო კრიტიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა შეხედულებას ხსნიდა მათი სიბეცითა ან შურით.

სხვა გზა არ ჰქონდა, ეშმაკისთვის უნდა მიეყიდა სული, თუკი ეწადა ოდინდელო ოცნების აღსრულება.

მაცდუნებელი იდეა შეუჩნდა ტვინში. მოქმედების გეგმა მოხაზა და იშვიათი მონდომებით ახორციელებდა.

ბეჯითად სწავლობდა XVII საუკუნის გამოჩენილ ჰოლანდიელ მხატვართა ბიოგრაფიებსა და შემოქმედებას, მათი ხატვის მანერას, ფერწერის ტექნიკის თავისებურებებს.

დაჟინებით ეძებდა მაჩვის ბეწვისგან დამზადებულ ფუნჯებს, ძველი ოსტატები რომ ხმარობდნენ.

უზარმაზარი თანხა (12 ათასი გულდენი) გაიღო, რათა ეყიდა პატარ პარკი ძვირფასი ლაჟვარდისა, დღემდე რომ ელვარებს წარსულის მხატვართა სურათებზე.

ანტიკვარიატში შეიძინა XVII საუკუნის უცნობი მხატვრის მოზრდილი სურათი „აღდგომა ლაზარესი“, ფერწერა ჩამორეცხა, ხოლო ძველი ტილო და ჩარჩო რეალობის გარანტებად დაიგულა.

1932 წელს დასახლდა საფრანგეთის რივიერაზე. ვეება ბაღით გარშემორტყმული ვილა იყიდა ქალაქ ნიცას მახლობლად.

სახელოსნოში შესვლა მეუღლესაც კი აკრძალული ჰქონდა.

ჩაკეტილ კარს მიღმა დუღდა მხატვრის მეორე, უხილავი და იდუმალი ცხოვრება. **ვან მეეგერენი ქმნიდა XVII საუკუნის დიდებული ჰოლანდიელი მხატვრის ვერმეერის უცნობ სურათებს!**

თავდაპირველად არჩევანი შეაჩერა ახალი აღთქმის ერთ ეპიზოდზე, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გამოეცხადა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე თავის მოწაფეებს ემაუსში.

მოტყუებულ ევროპას რევანში სწყუროდა...

ნიმუშად აიღო ცნობილი იტალიელი მხატვრის კარავაჯოს მიერ ამავე თემაზე შექმნილი სურათის კომპოზიცია.

შვიდი თვე გაგრძელდა ყოველდღიური დაძაბული მუშაობა.

და დაიბადა სურათი, რომელსაც უყოყმანოდ მოაწერდა ხელს თვით ვერმეერი!

გენიალურმა ყალბისმქნელმა ჩვეული რუდუნებით შეასრულა მხატვრის ხელმოწერაც.

იცოდა, რომ ოდნავი უზუსტობაც კი, დაეჭვებდა ექსპერტებსა და გრაფოლოგებს.

ყოველ წვრილმანს ითვალისწინებდა.

300 წლით „დააძველა“ სურათი. ტილოს აშრობდა 120 გრადუსზე ცელსიუსით...

დასასრულ, შეთხზა და გაავრცელა ზღაპარი, თითქოს იტალიაში იპოვა ვერმეერის უცნობი ნაწარმოები და კონტრაბანდით შემოიტანა საფრანგეთში.

რივიერაზე იმხანად ცხოვრობდა ჰოლანდიური მხატვრობის თვალსაჩინო მცოდნე აბრაჰამ ბრედიუსი. იგი გულდასმით გაეცნო ვან მეეგერენის ნაყალბევს და დაასკვნა, რომ „ქრისტე ემაუსში“ ნამდვილად არის ადრეული ვერმეერის ქმნილება. 1937 წლის შემოდგომაზე მანვე სოლიდურ ინგლისურ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია ვერმეერის შედევრის სენსაციური აღმოჩენის შესახებ.

„ქრისტე ემაუსში“ საყოველთაო მითქმა-მოთქმის საგნად იქცა. ერთხმად ალაპარაკდნენ კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნენი, ანტიკვარები.

ყალბისმქნელის ნაშრომი შეფასდა 550 000 გულდენად და და დაბინავდა როტერდამის მუზეუმში.

1938 წლის სექტემბერში გამოფენილ იქნა ჰოლანდიური მხატვრობის შედევრებს შორის და გაუგონარი წარმატება ხვდა წილად.

აღფრთოვანებული მნახველები თვალს ვერ აშორებდნენ ვან მეეგერენის „ვერმეერს“.

ხელოვნებათმცოდნე დე ფრისი აღნიშნავდა: „ასწაული გამოცხადებისა გახდა ფერწერის სასწაული“.

ყველა აღიარებდა სურათის საოცარ მომხიბლაობას.

ეს იყო ტრიუმფი.

თითქოს მიაღწია სანუკვარ მიზანს, მოიხვეჭა აღიარება და პოპულარობა.

თითქოს უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ გაუტკბა ყალბისმქნელობა, სიმდიდრეს გემო გაუსინჯა და რაღა გააჩერებდა!

შემდგომში კიდევ ექვსი „ვერმეერი“ შექმნა. ისინი ვერ უტოლდებოდნენ პირველ ნაყალბევს, მაგრამ გვარიანი შემოსავალი მოუტანეს. კერძოდ, 1942 წელს ნაცისტური გერმანიის რაიხსმარშალმა გერინგმა, გამოცდილ ექსპერტთა რეკომენდაციით, მილიონ 650 ათას გულდენად შეიძინა „ქრისტე და ცოდვილი ქალი“.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ვან მეეგერენი დააპატიმრეს კოლაბორაციონიზმის ბრალდებით.

„ქრისტე ემაუსში“

დაკითხვას მოსდევდა დაკითხვა და გამომძიებელი დაჟინებით მოითხოვდა დანაშაულის აღიარებას:

— აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ კოლაბორაციონიზმსა და გერმანელი ოკუპანტებისათვის ხელშეწყობაში? აღიარებთ თუ არა, რომ 1943 წელს გერმანელთა კონტროლქვეშ მყოფი გუდსტიკერის ანტიკვარული ფირმისა და გერინგის აგენტის ბანკირ ნიდლის შუამავლობით რაიხსმარშალ ჰერმან გერინგს მიჰ ყიდეთ ჰოლანდიელი მხატვრის იან ვერმეერ დელფტელის სურათი „ქრისტე და ცოდვილი ქალი“? ამ სურათში გერინგმა გადაიხადა ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი გულდენი, საიდანაც თქვენ — საკომისიო თანხის გამოქვითვით — აიღეთ მილიონი გულდენი. ყველაფერი სწორია?

ერთთვიანი წინააღმდეგობის შემდეგ ვან მეეგერენმა აღიარა დანაშაული.

პატიმარს ემუქრებოდა სასიკვდილო განაჩენი, ვინაიდან მის დანაშაულს სამშობლოს წინაშე ამძიმებდა ის გარემოება, რომ წარსულის უდიდესი მხატვრის ქმნილება მიჰყიდა მაინცდამაინც გერინგს, ჰიტლერის უახლოეს დამქაშს. მიჰყიდა იმ კაცს, ვისი ბრძანებითაც უმწეო ჰოლანდიას თავს დაეყარეს ათასობით ბომბი.

თვითმფრინავების გარდა, გერინგს ფერწერა იტაცებდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ისეთი კოლექცია შეეგროვებინა, რომელიც ტოლს არ დაუდებდა, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ, ლუვრისა თუ პრადოს საგანძურებს.

მისი საგანგებო რწმუნებულნი დაძრწოდნენ ოკუპირებული ევროპის ქალაქებში და გესტაპოს მსხვერპლთა ნაქონ სურათებს ეპატრონებოდნენ. თუკი კონფისკაცია არ ხერხდებოდა, მაშინ გერინგი „უმორჩილესად სთხოვდა“ ამა თუ იმ შედევრის მფლობელს, გაცვლა მოეხდინათ. ვან — დეიკისა თუ რუბენსის ერთ სურათში გულუხვად აძლევდა თანამედროვე გერმანული ფერწერის ათიოდე ნიმუშს.

ნიურნბერგის ბრალდებულთა სკამზე გამოჭიმული გულისტკივილით ჩიოდა: ერთადერთი შავი ლაქა ჩემს ბიოგრაფიაში ისაა, რომ კოლექციონერის ჟინით ვიყავი შეპყრობილი და ყველაფრის, რაც კი ლამაზია, ხელში ჩაგდება მწყუროდა. უბრალო მოკვდავნი ამას ვერ გაიგებენო.

გერინგისგან განსხვავებით, ვან მეეგერენმა მოახერხა თავის გადარჩენა. სასიკვდილო განაჩენის შიშმა ყალბისმქმნელი აიძულა განეცხადებინა, ვერმეერის სურათების ნამდვილი ავტორი მე გახლავართო.

— დიახ, ჰოლანდიის ეროვნული საუნჯე ერთი ბეწოზეც არ დაზარალებულა. გერინგმა შეიძინა არა ნამდვილი ვერმეერი, არამედ ნაყალბევი. „ქრისტე და ცოდვილი ქალი“ ვერმეერს არ დაუხატავს. მე, ვან მეეგერენმა, დავხატე....დიახ, მე გავაცურე გერინგი და მისი ექსპერტები.

ვან მეეგერენის მტკიცებით, მისივე ნახელავი იყო კიდევ ხუთი სურათი, ვერმეერის ქმნილებებად რომ გაასაღა.

მაგრამ გამომძიებლები არ უჯერებდნენ. წარუდგინეს ორი გამოჩენილი რესტავრატორის დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, „ქრისტე ემაუსში“ (როტერდამის მუზეუმიდან) ნამდვილად XVII საუკუნის ნაწარმოები არისო.

მაშინ ვან მეეგერენმა მოითხოვა ექსპერიმენტის ჩატარება. იგი ჰპირდებოდა გამომძიებელს, ვერმეერის სურათს დავხატავო. დროებით გაათავისუფლეს პატიმრობიდან, სახელოსნოში მიუტანეს ძველებური ტილო, საჭირო ყალმები და საღებავები. ვან მეეგერენი ქმნიდა თავის მეშვიდე და უკანასკნელ **„ვერმეერს“** — სურათს, რომელსაც დაარქვა **„ქრისტე მოძღვართა შორის“.**

დაძაბულმა შრომამ მალე გამოიღო ნაყოფი.

ექსპერტთა ავტორიტეტულმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი ხელოვნებათმცოდნენი, რესტავრატორები, წარსულის ოსტატთა ტექნიკის მესაიდუმლენი, გულდასმით შეისწავლა ვერმეერის ქმნილებანი, რომელთა ავტორობას იჩემებდა ვან მეეგერენი. მკვლევართა არსენალი შეიცავდა უახლეს ტექნიკურ საშუალებებს — რენტგენს, მიკროქიმიურ ანალიზს და სხვ.

კომისიის დასკვნით, ვერმეერის ყალამს მიკუთვნებული ექვსივე ტილო შესრულებული იყო XX საუკუნის მხატვრის ვან მეეგერენის ხელით.

ასე დაამტკიცა ვან მეეგერენმა, რომ მას სამშობლო არ გაუყიდია გერინგის ოქროზე.

1947 წლის ნოემბერში ვან მეეგერენს ყალბისმქმნელობისათვის მიუსაჯეს ერთწლიანი პატიმრობა. ერთი თვის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა ციხეში, 58 წლისა იყო.

1950 წელს ჩატარდა აუქციონი, სადაც გაიყიდა „ დიდი ფალსიფიკატორის“ ქმნილებანი, თითო მათგანი — 300 გულდენად!

მოტყუებულ ევროპას რევანში სწყუროდა...

მოამზადა

ლაშა გიორგაძემ

მარნეულში მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა ქალაქ მარნეულში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობლად მცხოვრებ ახლობელს — 1998 წელს დაბადებულ რ.გ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავა.



ქართული ენის „სასწორ-მეტყველოდ“...

სხვადასხვა „შედევრები“

ᲕᲘᲜᲪ ზრდის და ვინც წვრთნის ახალგაზრდობას, ვისგანაც ენას ყველა სწავლობს, იმის მცირე შეცდომას მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას. ამიტომაა, რომ ნებისმიერი პიროვნების მიმართ, ვინც ასეთ შეცდომებს უშვებდა აკაკი განსაკუთრებით მკაცრი იყო, ამის მკაფიო დადასტურებაა 1894 წელს 17 ივნისს, ჟურნალ „კვალში“ (№30) გამოქვეყნებული წერილი „არ ცოდნა, არ ცოდვაო“, — სადაც დამაჯერებლად მიანიშნებს იაკობ გოგებაშვილის მიერ დაშვებულ რამდენიმე უზუსტობასა თუ შეცდომაზე და აქედან გამომდინარე — „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავასკვენით პირობა, რომ „კვალისთვის“ კიდევ ერთი განყოფილება მოგვემატებია: „სასწორ-მეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებია ხოლმე,“ ბრძანებს აკაკი.

დღეს მწერლობაში ურიგო ქართულის მხილების რა მოგახსენოთ, ეს კრიტიკოსების საქმეა, მაგრამ ესოდენ მოჭარბებულ გაზეთებსა თუ ჟურნალებში, ტელევიზიასა და რადიოში გადაცემულ ურიგო ქართულს, გამკითხავი რომ არა ჰყავს, ეს ფაქტია: ადამიანს დარჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული ენის შენარჩუნებისთვის სამიათასწლიანი ბრძოლით მონაპოვარი კინაღამ დამოუკიდებელი საქართველოს სამ ათწლეულში ხელიდან გვეცლება! მგონია, მავანს და მავანს უცხო სიტყვებით კორიანტელის დაყენება განსწავლულობის საზომად ეჩვენება. რას ვერჩოდით რუსულს, თუკი სხვა უცხო ენებიდან უხვად „გავამდიდრებდით“ ქართულს. მაგალითი? ინებეთ: „ნაადრევმა გათხოვებამ კატოს იმედები გაუცრუა“ — „პირველი რადიოს დიჯეი და ტელეკომპანია „სტერეოს, ვიჯეო კატო“... მუდამ მომღიმარ კატოს გადაცემა „ვიდეორადიოსა“ და „ესემეს შოუში“ მესიჯებით უამრავი კომპლიმენტი მისდის“.

ღმერთო მიშველე. მომანახიე ისეთი თარჯიმანი, რომელიც შეძლებს გადმოაქართულოს ზემოთ მოტანილი ციტატები, თორემ ამის წამკითხავს გული რომ არ „მისდის“, „საკთხავი აი ეს არის“!..

„დაბადების თარიღის შეცვლა და ჩვენი ბედ-იღბალი“

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ 2020 წლის (27 იანვარი-2 თებერვალი, №5, გვ. 29) „ასავალ-დასავალი“, ბეჭდავს სტატიას, სადაც საუბარია დაბადების თარიღის შეცვლის ასტროლოგიურ შედეგებზე — ჩვენ შევნიშნავთ, რომ ბედი ქართულია, იღბალი (იგბალი) უცხოური, ქართულ ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: იღბალი — 1. კარგი ბედი. 2. იგივე რაც ბედი. (გვ. 254). დიდი მგოსანი მიუთითებს, რომ იგბალი თათრულია, ქართულად ბედია.

სატელევიზიო არხებზე მკვიდრად მოიკიდა ფეხი სიტყვა „ჩაინიშნა“-მ. მაგალითები? — ინებეთ: სასამართლო პროცესი „ჩაინიშნა“, საფეხბურთო „მატჩის გადაცემა ჩანიშნულია“ და ა. შ. გამოდის, რომ სასამართლო პროცესი მოსამართლემ თავისთვის ჩაინიშნა, ხოლო დამსწრე საზოგადოებამ, ვინც ცოტად თუ ბევრად განსწავლულია, იცის რომ მოსამართლის მიერ „ჩანიშნული“ პროცესი, ამა და ამ დღისთვისაა დანიშნული. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვასწავლის — „ჩაინიშნა“ — „ჩაინიშნავს (თურმეობითი, ჩაუნიშნავს თავისთვის, აწმყოში ინიშნავს) გარდამავალი — ინიშნავს თავისთვის, მოკლედ ჩაიწერს რასმე უბის წიგნაკში, ჩაინიშნა თარიღები.“ (გვ. 513)

„დაინიშნებ-ა (აწმყო, ინიშნება) გარდამავალი , 1. შეირჩევა. განისაზღვრება. დადგინდება. კრება დაინიშნა — გამოძიება დაინიშნა.“ (გვ. 174). გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, მართებულია, „პროცესი, მატჩი დაინიშნა“ და არა ჩაინიშნა .

„გაშვებული გოლი“ — ეს „შედევრი“ სპორტული კომენტატორების შემოქმედებაა. ამ „შედევრს“ იმდენად ხშირად მიმართავენ, რომ უდიერად მოხსენიება ამ სიტყვის შემოქმედისა, არც თუ ისე იშვიათია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, (გვ. 141) „გაშვებული“ — ნიშნავს — ვინც, რაც გაუშვეს, საძოვრზე გაუშვეს ცხენი“... და ა. შ. ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ გაშვებულის ნაცვლად იხმარებოდეს „გასაშვებ“ გოლს, თუმცა ქართული ენა ისეთი მდიდარია და თანაც პრეტენზიული, რომ მის სიტყვებთან ასეთი თვითნებეური თამაში, კარგს არაფერს შეგვძენს, „გაშვებულ ცხენს“ არა მგონია გადაურჩეს საძოვარი, ხოლო „გაშვებულ გოლს,“ რომ არაფერი შველის, ესეც ცხადია. ზემოთ ავღნიშნეთ ქართულ მეტყველებაში მომრავლებული უცხო სიტყვათა შესახებ, აქ თითქმის ვერც კი დაითვლი სატელევიზიო გადაცემებში „ხმარებად“ სიტყვებს, „ხმარებადი“ ეს ხომ ქართული მეტყველების „მარგალიტად“ ბრწყინავს.

სამზადისში ღუმელზე დილიდან საღამომდე ქოთანში ლობიო თუხთუხებს და როცა ლობიო მოხარშულია, საჭიროა საკმაზ-სანელებელი — ქინძი, ნიორი, ხახვი, პრასა, დაფნის ფოთოლი, ღორის ქონი, ქონდარი და სხვა, საქართველოს ტელევიზიების უმრავლესობამ საკმაზ-სანელებლების ნაცვლად უცხოური სიტყვით „ინგრედიენტი“-თ „საოცრად გააგემრიელა“ ნებისმიერი ქართული კერძი. ქართულ სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი — გვ. 388 — საკაზმი — 1. „რითაც ცხენს კაზმავენ (უნაგირი, აღვირი და სხვა). 2. მწვანილეული, სუნელი და მისთ. რითაც საჭმელს კაზმავენ — სანელებელი. ლობიოს სანელებელი.“

მკითხველის ყურს თუ გონებას ძალზედ უხეშად ხვდება, ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ პიროვნების შეფასება, მაგალითად — „ძაღლთაპირი“, „ძაღლ მიმკვდარი,“ „სულძაღლიანი“ და სხვა. ვფიქრობთ, ამა თუ იმ სტატიის გამოქვეყნებისას ჟურნალისტს არც დადებითის და არც უარყოფითის მიკერძოებით შეფასება არ ეპატიება, მით უმეტეს თავისი ფიქრისა და აზრის გაშიშვლება პროვინციალიზმის გამოვლინებას ხომ არ ნიშნავს?

გამყალბებლებისა და გამალაყებელის თაობაზე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ განმარტებით ლექსიკონში ყალბი (გვ. 464) — არაბული სიტყვაა, რაც ნიშნავს, არანამდვილს, მაგრამ ნამდვილის მიმსგავსებულს, ყალბის მქმნელი — ვინც სიყალბე, თაღლითობა ჩაიდინა. გამლაყებელი — „რაც გალაყდა (გაფუჭდა), ლაყე — 1. გაფუჭებული, აყროლებული (კვერცხი). 2. გადატანითი (საუბ.) მოუხერხებელი, დონდლო, უფხო (ადამიანი). ლაყბობა — ბევრი და უსაგნოდ ლაპარაკი, — ყბედობა — (გვ. 275).

ეს განმარტება ცნობისათვის, ხოლო დღეისათვის არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ვხედავთ ფაქტს — „არჩევნები გაყალბდა“, მხოლოდ „გამყალბებლების“ (გამაფუჭებლის) იარაღია, ხოლო ამ იარაღის დამამტკიცებელი არც ერთი ფაქტი დღემდე არაა წამოდგენილი.

„წერე, წერე, ჩემო ვარდენ...

ᲓᲘᲓᲘ მგოსანი სტუმრად ყოფნისას მასპინძლის გაჯიუტებელ ბავშვს, რომელსაც ვერმიშლის ჭამა არ სურდა, აგრძნობინებს, რომ

„თუ არ ჭამე ვერმიშელი
გაგლახავენ, ვერ გიშველი“.

ამ შეგონებამ უნებლიედ მიბიძგა, რომ გაჯიუტებულებს ვურჩიო -

„თუ არ გესმით ხმა მიშელის
ის მოძებნეთ ვინც გიშველით!..“

ზემოთ მოხმობილი ქვესათაური ალბათ გეცნობათ, ვის მიუძღვნა ლექსად აკაკიმ, ჰხოდა, ზოგჯერ რიგითი მკითხველიდან შეიძლება მავანმა პოეტმა გაითვალისწინოს —

„როგორც ღვინოს თავსახური,
ხალხს ჭირდება სამსახური.“

ხომ არ აჯობებდა:

„როგორც ღვინის ქვევრს ბადიმი,
ხალხს ჭირდება ნადიმი.“

ცოტა უხერხულია, ლიდერს მიმართო „თავსახური — სამსახური“, აი ბადიმი კი ნაღდად ესადაგება ნადიმს (თავსახურს). რაც შეეხება „აღმშენებლობა მალე, თუ გინდა კარგად ვიცხოვროთ ხვალე“, „მალე — ხვალე“, „თავსახური-სამსახური“ რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი ჭიათურელთა „მოყვარულ პოეტის“ ბუდუ კვიჟინაძის ზოგიერთ სტრიქონს მაგონებს — „თუ ხარ ხარი, უნდა მოხნა ხარო, თუ არა და, მოკვდი ხარო...“

ამას არა უშავს ხარო-ხარო, ხარხარის ხასიათზე მოგიყვანს, თუმცა ბუდუს გაცხარებაც შეეძლო და როცა მის თხოვნაზე მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ, აწ განსვენებულმა კიტა გვილიამ უარი უთხრა, სასწრაფოდ მიუძღვნა „მისაძღვნელი“. —

„ვინ არ იცნობს ქართველ პოეტებს ვაჟას,
აკაკის, ილიას,
ყველას დედას ავუტირებ განსაკუთრებით
კიტა გვილიას.“

ბუდუს განსაკუთრებით აწუხებდა ჭიათურის ღია კარიერების ბედი —

„აქეთ კლდეები, იქით კლდეები,
ბახ დინამიტები, ბუხ დინამიტები.
ფაფუ, კლდეები“....

და კიდევ, ის თავისებურად ეხმაურებოდა მსოფლიოში არსებულ ვითარებას —

„ვიეტნამში რად არის ომი...
მე მიყვარს ღომი,
ღომს უხდება სულგუნი და ყველი
ჩინელო აგრესორებო, სირცხვილი თქვენი!.“

ამ წერილის სათაურს ქვესათაურად „სხვადასხვა შედევრი“ ვუწოდეთ იმის გამო, რომ ის მართლაც სხვადასხვა ამბებს ეხება და ფაქტორივად გამოძახილია „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბატონ გიორგი გოგოლაშვილის მიერ გამოქვეყნებულ — **„ვკითხულობთ, ვისმენთ და... ვინელებთ“** მეტად დროული და საჭირბოროტო წერილისა, სადაც დამაჯერებლადაა მინიშნებული ყველა იმ მანკიერების შესახებ, რაც სჭირს „ინტელიგენციის ქართულს“ და დავამატებდი, ზემდგომი ინსტანციებიდან გადმოგზავნილ უცხო სიტყვებით გამდიდრებულ წერილსა თუ დირექტივას და მართლაც — „ნეტავ როდის მოეღება ბოლო ამ სნეულებას“?!



ᲪᲔᲖᲐᲠ ᲚᲐᲨᲮᲘ,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი
2021 წლის მაისი.

რა მდგომარეობაშია გელათის კედლის მხატვრობა?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მინისტრი და მინისტრის მოადგილეები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, სხვადასხვა ორგანიზაციიდან მოწვეული ხელოვნებათმცოდნეები და კედლის მხატვრობის რესტავრატორები, ასევე, მამა ანტონი გელათის სამონასტრო კომპლექსიდან.

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, პაატა გაფრინდაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა გელათის ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის ტაძრების კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება, რომელიც 2020 წლის 11 მარტიდან 2021 წლის 29 აპრილამდე პერიოდს მოიცავს. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დროებითი გადახურვის მოწყობის შედეგად ტაძრებში წყლის ინფილტრაცია რამდენიმე თვეა აღარ მიმდინარეობს, 2020 წელს უკვე ჩასული წყლის მიზეზით ტაძარში მაღალი ტენიანობაა შენარჩუნებული.

გაიმართა აქტიური დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაბიჯები შეიძლება იქნეს გადადგმული იმისათვის, რომ სახურავის გამოცვლამდე, რაც ხანგრძლივი პროცესია, მაქსიმალურად შენარჩუნდეს დაზიანებული ფრესკები. განსხვავებული პროფესიული მოსაზრებების მოსმენის შედეგად, შეხვედრის მონაწილე დარგის სპეციალისტები შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე წლის ივნისში იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფი ჩამოსვლამდე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიეცეს შესაძლებლობა:

— ჩაატაროს ნალესობისა და ფერწერის ფენის კვლევა;

— კვლევის პარალელურად, ქართველი პროფესიონალი რესტავრატორების მეშვეობით, რეგულარულად განახორციელოს დაზიანებული ფრესკებიდან გამომარილების პროცესის შედეგად წარმოქმნილი მარილის მოხსნა იმ ადგილებში, სადაც ეს ფერწერის დაზიანების გარეშე ჯერ კიდევ შესაძლებელია;

— კვლევის პარალელურად, ქართველი პროფესიონალი რესტავრატორების მეშვეობით, განახორციელოს დაზიანებული ფერწერული ფენიდან ქიმების ნალესობის მოხსნა იმ შემთხვევებში, როცა ამგვარი ნალესობა დაზიანებული ფერწერული ნაწილის კედლიდან მოწყვეტის საშიშროებას ქმნის.

ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ

ევროპული საბჭო, ბრიუსელში გამართული სამიტის ფარგლებში, რუსეთთან დაკავშირებით განცხადებას აქვეყნებს.

„ევროკავშირი გმობს რუსეთის უკანონო, პროვოკაციულ და მავნებლურ საქმიანობას ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ევროკავშირის ერთიანობასა და სოლიდარობას ამგვარი ქმედებების წინაშე, ასევე აღმოსავლეთელ პარტნიორებისადმი მხარდაჭერას“, — ნათქვამია განცხადებაში. ევროპული საბჭო ასევე მიმართავს ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელსა და ევროკომისიას, 2021 წლის სამიტამდე წარადგინოს ანგარიში ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობების პოლიტიკის ვარიანტებთან დაკავშირებით.

ენტონი ბლინკენი ისრაელშია

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ისრაელში ჩავიდა. ენტონი ბლინკენის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ოფიციალურად დღეს დაიწყება..

მთავარი მიზანი რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად ისრაელსა და პალესტინას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გამყარება იქნება. ახლო აღმოსავლეთში ვიზიტის ფარგლებში, ბლინკენი ეგვიპტესაც ეწვევა, რომელმაც ისრაელსა და „ჰამასს“ შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევის პროცესში მედიატორის როლი შეასრულა.

თურქეთი პოლონეთს უპილოტო საფრენ აპარატებს მიჰყიდის

როგორც თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ამბობს, ეს პირველი შემთხვევაა ქვეყნის ისტორიაში, როდესაც თურქული უპილოტო საფრენი აპარატების ექსპორტი ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყანაში განხორციელდება. მისივე მტკიცებით, თურქეთი უკვე შედის მსოფლიოში უპილოტო საფრენი აპარატების მწარმოებელი ქვეყნების ოთხეულში.

ერდოღანმა ასევე განაცხადა, რომ თურქეთი უახლოეს ხანში პოლონეთში ასევე გაგზავნის „ეფ-16“-ის ტიპის გამანადგურებლებს, რომლებიც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საჰაერო სივრცის დაცვის გაფართოებულ მისიაში ჩაერთვებიან.

„ვიმედოვნებ, რომ თურქეთსა და პოლონეთს დიდი პოტენციალი აქვთ ბევრ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, მათ შორის, ეკონომიკაში, ვაჭრობასა და ინვესტიციებში“, — განაცხადა ერდოღანმა.

ეს განცხადებები თურქეთის პრეზიდენტმა თავის პოლონელ კოლეგა, ანჯეი დუდასთან შეხვედრისას გააკეთა.

სამხედროებმა პრეზიდენტი და პრემიერი დააკავეს

გაეროს მისია მალიში სამხედროების მიერ დაკავებული პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. სოციალურ ქსელ „ტვიტერით“ გავრცელებულ განცხადებაში გაეროს მისია მალიში ქვეყანაში სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

გაეროს მისიამ განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ მალის დროებითი პრეზიდენტი ბა ნდავი და პრემიერ-მინისტრი მოქტარ ოუანე სამხედროებმა დედაქალაქ ბამაკოს მახლობლად მდებარე კატის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს. ვრცელდება ცნობები, რომ მათთან ერთად ასევე დაკავებულია თავდაცვის მინისტრიც. მალის ლიდერების ყოველგვარი წინაპირობების გარეშე გათავისუფლებას ასევე ითხოვენ აფრიკული კავშირი, ევროკავშირი და აშშ.



ვისი საქმეა ქვეყნის დაცვა?

ეროვნული თავდაცვის ნაცნობი და „უცნობი“ საკითხები

შესავალი კონკრეტული მაგალითისთვის

ბოლო ხანს ისრაელის სახელმწიფო მორიგი, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან უკვე მერამდენე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. გასამხედროებულმა ტერორისტულმა შენაერთებმა ისრაელის ქალაქების მისამართით ასობით რაკეტა გაუშვეს, რამაც მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია... ისე როგორც წინა შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების დროს, ჩვენი მეგობარი ერი ამჯერადაც ავლენს, და მომავალშიც გამოავლენს, სამაგალითო სიმტკიცეს, ეროვნული სულის შეუდრეკლობასა და სახელმწიფოს ურყევ ნებას — წინ აღუდგეს და აღკვეთოს აგრესია. ისე როგორც წინათ, ახლაც, ებრაელ ერს ცივილიზებული სამყაროს სრული მხარდაჭერა და თანადგომა აქვს. ეს ბუნებრივია, როდესაც იბრძვი უფლებისთვის იარსებო როგორც ეროვნულმა სახელმწიფომ, შეინარჩუნო ღირსება და განვითარების მშვიდობიანი პერსპექტივა, გქონდეს გამორჩეული და განუმეორებელი ხმა მსოფლიო კულტურათა საგანძურში, იღვაწო და სხვებთან ერთად იმოქმედო იმისთვის, რომ მშვიდობიანი, სამართალსა და სამართლიანობაზე დაფუძნებული თანაცხოვრების წესთა სისტემა იქცეს ძალმომრეობის, უთანასწორობისა და ეროვნული ღირსების ფეხქვეშ გათელვაზე აღმოცენებული ამა თუ იმ მცდელობის რეალურ შემაკავებლად.

თუმცა, მთელ ამ უკვე კარგად ნაცნობ ისტორიაში მთავარი სათქმელი მაინც სხვაგვარად გვინდა რომ გადმოვცეთ. ამ სათქმელის უმთავრესი წახნაგი უკავშირდება ისრაელის ნებასა და შესაძლებლობას იარსებოს, იმოქმედოს და ვითარდებოდეს, უპირველესად და უწინარესად, საკუთარი ეროვნული რესურსის, მზადყოფნისა და თავდადების ხარჯზე. ცხადია, ებრაელთა სახელმწიფოს თითქმის არასდროს აკლდა მთავარი მოკავშირის მეტად პრაქტიკული თანადგომა, ისე როგორც არაერთი სხვა ქვეყნის პოლიტიკური მხარდაჭერა; ებრაელი ერის უფლებას, შეექმნა სახელმწიფო, განამტკიცებდა ისტორიული დაუწერელი სამართალიც და დაწერილი სამართლის ნორმებიც, მაგრამ 1948 წლიდან მოყოლებული დღემდე, ძირითად განაცხადს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რაობის შესახებ, როგორც წესი, ისევ და ისევ თავად ებრაელი ერი აკეთებდა. მეტიც: ამ ქვეყნის უნიკალურობა, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემების სპეციფიკურობა თამამად გვაფიქრებინებს, რომ განჭვრეტად მომავალშიც ებრაელთა სახელმწიფო ორგანიზაციის თვითმყოფადი ბუნება ისევ საკუთარ შესაძლებლობებსა და მზადყოფნას დაეყრდნობა და, ამ მორიგ კონფლიქტამდე დამკვიდრებული წესისა არ იყოს, მომავალი გამოწვევების პირობებშიც სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისა და აღსრულების მთავარ ამოსავლად საკუთარი ნების ავტონომიურობასა და ებრაელთა ეროვნულ ინტერესებს მონიშნავს.

შესავლის განვრცობისთვის

აშკარაა, რომ ამგვარი ავტონომიური ეროვნული ნების რეალიზებისას კვლავ აქტუალური იქნება როგორც პარტნიორების მიერ საქმიანი ხელშეწყობა, ისე საერთაშორისო სამართლით დასაბუთება. თუმცა, ასევე ცხადია, რომ გარე მონაწილეთა და გარეშე ფაქტორთა ხელშეწყობის ქმედითობა ერთიორად იზრდება, როდესაც, გარდა იმისა, რომ შენი საქმე არსით მართალია, პირადი მაგალითითაც ამტკიცებ ეფექტიანი თავდაცვის უნარს საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად. საამისო განწყობა, როგორც შესატყვისი საზოგადოებრივი ცნობიერების, ისე ადეკვატური ინფრასტრუქტურული სისტემის გამართვის ფონზე, მით უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პირობებში.

როგორც წინა პუბლიკაციებში უკვე არაერთხელ ვრცლად ვისაუბრეთ, ეს პროცესები ბოლო წლებია საერთაშორისო წესრიგის ძირეული გადაწყობით გამოირჩევა. მართალია, საბოლოო შეჯერებული დასკვნის გამოტანა, თუ როგორი იქნება მომავალი წესრიგის (თუ უწესრიგობის?) კონტურები, ჯერ კიდევ ნაადრევია, მაგრამ მისი რამდენიმე მახასიათებელი უკვე იკვეთება. ესენია: ეროვნული დღის წესრიგის დომინანტობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში, გლობალური გეოეკონომიკური ქსელის გადაწყობა ეკონომიკური ნაციონალიზმის ნიშნით, რეგიონალიზმის ფაქტორის შემდგომი დაწინაურება მსოფლიო „საქმეთა მართვისას“, ისე როგორც ეროვნული თუ თემატურ-სიტუაციური ინტერესების თანხვედრის მოტივით სახელმწიფოთა ფორმალური თუ არაფორმალური ალიანსების ჩამოყალიბების ტენდენციის გაძლიერება.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გეოპოლიტიკურად ამა თუ იმ რთულ რეგიონში მდებარე მცირერიცხოვანი ქვეყნის უნარი, მაქსიმალურად უპატრონოს საკუთარ თავს. ამასთანავე, მხოლოდ ასეთი დათქმითა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამობილიზაციო რესურსის მწყობრი და თვითკმარი სისტემის არსებობის პირობით, შეძლებს იგი საერთაშორისო მოკავშირეებს გაუიოლოს მისთვის დახმარების გაწევა უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. მხოლოდ ასეთი თანწყობით, კერძოდ, ერის რეალური მზაობითა და ორგანიზებულობით, მათზე დაშენებული სამოკავშირეო და საერთაშორისო-სამართლებრივი უზრუნველყოფით, შესაძლებელია, კონკრეტულად, თავდაცვისა და, ზოგადად, უსაფრთხოების ფართო კონცეპტუალური სისტემის ამოქმედება. ამ განტოლებაში მხოლოდ ერთის — საერთაშორისო კომპონენტის ამარა ყოფნა, მეორის - ეფექტიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ბაზისის გარეშე, მეტად რისკიანი ექსპერიმენტია ეგოიზმისა და „რეალური პოლიტიკის“ (realpolitik) კონიუნქტურით გამორჩეულ თანამედროვე რეალობაში.

„რეალპოლიტიკაზე“ საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოლიტიკის რეალისტური და არა წარმოსახვითი, ილუზორული კანონებით მოქმედება არამხოლოდ ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერის მიერ დასამკვიდრებელი პრაქტიკაა. ასეთი პრაქტიკის ფართოდ გამოყენებაზე გლობალური სახელმწიფოებიც ღიად საუბრობენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ამასწინანდელ საგაზეთო ინტერვიუში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბლინკენი საგარეო პოლიტიკისადმი მიდგომას პრაგმატულ და არა დოქტრინალურ ჭრილში განიხილავს. მისი აზრით, პრობლემების მოგვარების საშუალების ძიებისას ძირითადი მოთხოვნა მათი პრაქტიკული გადაჭრის გზებსა და თანამშრომლობის ახალ ფორმებზეა, რაც, ისე როგორც აშშ-ს ოფიციოზის არაერთი სხვა საჯარო გამოსვლა თუ განცხადება, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის საგარეო პოლიტიკის კეთებისა და შეფასების ახლებურ სტანდარტს.

ეს ვრცელი შესავალი, მათ შორის, ისრაელის მაგალითის აღნიშვნით, მოხმობით, ჩავთვალეთ ბევრისთვის, ალბათ, ბანალური შეკითხვების კიდევ ერთხელ დასასმელად: უპირველესად, ვისი საზრუნავია საქართველოს თავდაცვა და უსაფრთხოება? ვინ უნდა თვლიდეს საკუთარ თავს უმთავრეს მოქმედ პირად ამ, ერთი შეხედვით, გასაგები მოვალეობის შესასრულებლად?

სანამ შეკითხვებს ვუპასუხებთ...

...ალბათ კარგი იქნება კიდევ ერთხელ თვალი შევავლოთ ქვეყნებს შორის ურთიერთობას, რათა მსჯელობის გასაიოლებლად რამდენიმე საჭირო პრინციპი განვაზოგადოთ. გასაგებია, რომ ყველა ისტორიულ ეპოქას თუ მსოფლიო წესრიგის ფორმაციას იმ მოცემული ეტაპის თანამდევი ნიშნები გამოარჩევს. თუმცა, მათ შორის ასეთი სხვადასხვაობისა და იმანენტური სპეციფიკურობის მიუხედავად, საგარეო ასპარეზზე სახელმწიფოს პოზიციონირების განმსაზღვრელ მდგენელებზე დაკვირვება განზოგადების შესაძლებლობას მაინც იძლევა.

საკითხზე პასუხის ზედმეტი გამარტივებაც დაუშვებელია. თუმცა, ძალზე მოკლედ შევნიშნავთ, რომ შესაძლებელია ყველა თანამდევი ნიშნის გაერთიანება სისტემათა შემქმნელ ორ კატეგორიად. მათ შორის ერთია იდეის როლი და მისაღებობა საზოგადოების კრიტიკული ნაწილისათვის, ხოლო მეორე — იდეის გასატარებლად სახელმწიფოს ხელთ არსებული რეალური ძალა. არსებითია ისიც, რომ ეფექტიანი და თანამედროვე ეროვნული თავდაცვითი სისტემის მიზნებისთვის ორივეს — როგორც სწორად და გასაგებად ჩამო-

ქვეყნის დაცვის ნიჭი! (გალაკტიონი)

ყალიბებული იდეის, ისე მის აღსასრულებლად საჭირო მატერიალური რესურსისა თუ ძალის — არსებობა და თანწყობა თანაბრად აუცილებელია.

ქართულ სინამდვილეში იდეის დედააზრი ჩვენი ერის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ჩამოყალიბებული ის მოცემულობაა, რომელიც თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვას, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისა და ეროვნული გენის განვითარებისთვის დღეს არსებული საერთაშორისო ნორმებით აღიარებული კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის ხელუხლებლობას უკავშირდება. ცხადია, რომ აქ იდეის ზუსტ ფორმულირებაზე არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, ვინაიდან ქართული უსაფრთხოების დანიშნულება, ვფიქრობ, ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსს ემყარება და მისი საბაზისო თეზები არსებითად უცვლელია.

გაცილებით რთული ამოცანა ხსენებული მეორე კატეგორიის სრულფასოვნად სისრულეში მოყვანაა. ფაქტია, რომ ამ გზაზე დიდი ძალისხმევა დაიხარჯა და კიდევ დაიხარჯება. თუმცა, აქ მთავარი სხვა რამ არის: ეროვნული თავდაცვა ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების უკლებლივ ყველა სეგმენტისა თუ შრის გამაერთიანებელ და პოლიტიზაციისგან ხელუხლებელ სფეროდ უნდა იქცეს. სწორედ რომ საკითხის ამგვარად გაცნობიერება იქნება ერთი ძლიერი ნაბიჯი თავდაცვის იდეოლოგიური მდგენელის მატერიალიზაციის ერთიანი და რეალურ საჭიროებებს მორგებული გაგებისაკენ.

ქართული თავდაცვის ღერძი

უდავოა, თუ რაოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომლითაც საქართველო, პრაქტიკულად, მისი ხელახალი დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში სარგებლობს. დიდია ჩვენი ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორისა და სხვა სტრატეგიული პარტნიორების გვერდში დგომა სახელმწიფოებრივი განვითარების, ფაქტობრივად, ყველა სფეროსა და დარგში, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით. დღეს საკამათო არც ის არის, რომ ასეთი განუწყვეტელი და არსებითი მხარდაჭერის გარეშე, ქვეყნის წინაშე არაერთი ისედაც მძიმე გამოწვევა კიდევ უფრო დამძიმდებოდა, გარკვეული გაგებით კი, ზოგიერთი მათგანი პერსპექტივაში და გადაულახავ გამოწვევად იქცეოდა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც ზომიერი ოპტიმიზმის განცდას ქმნის.

აქაც უნდა აღინიშნოს, რომ როგორიც არ უნდა იყოს ქართული თავდაცვის ამა თუ იმ წყობის შინაარსი, მისი საერთოდასავლური სისტემისგან განცალკევებით არსებობა წარმოუდგენელი და როგორც პოლიტიკურად, ისე წმინდა თავდაცვითი გააზრებით, ძალზე მოწყვლადი არჩევანია. აქვე შევნიშნავთ, რომ დღევანდელი გეოპოლიტიკური რელიეფი — განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონის ჭრილში — დასავლეთთან კოლექტიური უსაფრთხოების სხვადასხვა გადაწყვეტას გვთავაზობს. ამ მხრივ, რამდენიმე ვარიაცია — ორმხრივი სახელშეკრულებოთი დაწყებული და რეგიონულ-თემატურით დასრულებული — ჩვენს წინა პუბლიკაციებში დეტალურად განვიხილეთ.

ფაქტია, რომ ქვეყანა განაგრძობს გეოპოლიტიკურად თავისი ცივილიზაციური არჩევანის განხორციელებას, რაც თანაბრად არის გამყარებული როგორც ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსით, ისე ძირითადი კანონის დანაწესით. რა თქმა უნდა, ამ უმთავრესი ორიენტირისკენ წარმატებული სვლა ასევე მეტ გამბედაობას, იმპროვიზაციას, გონივრულობასა და ცვალებადი რეალიებისადმი სწორად და მოქნილად ადაპტირებას მოითხოვს. ამ თვისებების აუცილებლობასა და მათ პრაქტიკულ არსზე — უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით სხვადასხვა კონცეპტუალური გადაწყვეტების ირგვლივ — არაერთხელ ვიმსჯელეთ.

ამასთანავე, აუცილებელია კიდევ ერთხელ საკუთარ თავს შევახსენოთ, რომ ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის ნებისმიერი მოდელისა თუ წეს-წყობილების უმთავრესი ღერძი არის საქართველოს ხალხის, მისი ყოველი მოქალაქის (ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად) ურყევი ნება, განუხრელად დაიცვას ის ქვეყანა, რომელსაც სამშობლოდ გრძნობს და აღიქვამს. ეს არის საქმე, რომელიც ნებისმიერ სხვა საქმეზე უმაღლესია თავისი არსითაც და პათოსითაც, რამეთუ წარმოადგენს ქართული საზოგადოების ზრდადასრულებული წევრის მოვალეობას, თავად იყოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის გარანტი და იყოს ასეთი ყოველგვარი დათქმის, პირობისა და ყოყმანის გარეშე; იზრუნოს ამ ინტერესთა დაცვასა და ხელშეწყობაზე საერთაშორისო კონიუნქტურის რაციონალურად და პრაგმატულად გათვალისწინებით; საქართველოს ეროვნული ინტერესი წარმოაჩინოს ისე, რომ იგი სხვისამ არ გადაფაროს ან დაჩრდილოს, აქციოს ეს ინტერესი მის მიერ გაკეთებული ცივილიზაციური არჩევანის პროცესის ორგანულ ნაწილად იმავე პროცესის თანამონაწილეთათვის.

საამისოდ, მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს ქართული სახელმწიფო და პარტიულ-პოლიტიკური სპექტრიც. მათ მიერ მომზადებული ყოველი მსხვილი პროექტი თუ შეთავაზება აუცილებლად უნდა გადიოდეს ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემასთან თავსებადობის ტესტს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი დიაგნოსტიკა მიზანშეწონილია ყველა საქვეყნო მასშტაბის ინიციატივის შემთხვევაში, მიუხედავად მისი დანიშნულებისა თუ შინაარსისა. აღნიშნული მიდგომის განხორციელებას უკვე არაერთი მოწინავე ქვეყანა შეუდგა — უსაფრთხოების კრიტერიუმი თამამად გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების ან ნებართვის ადმინისტრირებისას. ასეთი საზომი დღეს უკვე არა მხოლოდ პოლიტიკის დოკუმენტების დონეზე ასახული მოთხოვნაა, არამედ ეროვნულ საკანონმდებლო აქტებშიც იმკვიდრებს ადგილს.

ამის ახსნა მეტად მარტივია. მსოფლიო, მათ შორის ჩვენი პარტნიორი დასავლეთის ქვეყნები, ძალისმიერი პოლიტიკის ხელახლა აღმოცენებულ ფაზას უსწორებენ თვალს, რაც დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული კონკურენციის ნაწილია. სავარაუდოდ, ეს ფაზა კიდევ კარგა ხანს შენარჩუნდება. ასეთ მოცემულობას - „რეალიზმს“ გეოპოლიტიკასა და პოლიტიკაში — ჩვენც უნდა „მოვუშინაურდეთ“ და ამ გარემოში ქართული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გაცილებით არასტანდარტული, ჩვენს ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული გზები ვიპოვოთ. ყველაფერთან ერთად, ეს მოითხოვს ძველი შიდა და გარესახელმწიფოებრივი „აზროვნების“ ძველ კლიშეებთან და დამაზიანებელ სტერეოტიპებთან უსწრაფესად დამშვიდობებას, საბჭოეთის დროიდან გადმოყოლილ დოგმებზე უსწრაფესად უარის თქმას.

ამასთანავე, აუცილებელია გონებასა და ქცევის წესში ჩავიბეჭდოთ, რომ ქვეყნის დაცვა და მისი უსაფრთხოება არ არის მხოლოდ ეროვნული შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების აპარატის ამოცანა. დღევანდელ ვითარებაში ეს უკვე საერთო-ეროვნული საზრუნავია, რასაც კაცობრიობის განვითარება და კინეტიკური თუ ასიმეტრიული კონფრონტაციის თანამედროვე ფორმები, ისე როგორც ამ ორის ჰიბრიდული ვარიანტები განაპირობებს. ამაზეც ბევრი ითქვა და კიდევ ბევრჯერ იტყვიან.

თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ქართული სახელმწიფო, ეს არის სხვადასხვა მომიჯნავე თუ ურთიერთდაკავშირებული (ზოგჯერ კი დაუკავშირებელი) დარგისა და პროფესიის გეგმაზომიერი და გრძელვადიანი კოორდინაცია, რომლის მიზანია არა თავმოსაწონ „თვითრეკლამირებაზე“ ორიენტირებული, არამედ უკიდურესად პრაქტიკული და ხელშესახები შედეგების მიღება. ეს ასევე ნიშნავს თანამედროვე, კორპორაციული ყაიდის ტექნოკრატიულ მმართველობას, სრულად განახლებულ და მოდერნიზებულ პარტიულ პლასტს, ასევე საკუთარი თავისა და სახელისუფლო-პოლიტიკური თემისადმი მომთხოვნ, კულტურულ, ინფორმირებულ და ობიექტურ საზოგადოებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას თავად ჰქონდეს უანგარო დაინტერესება დამოუკიდებლად ეძებოს რეალური თავდაცვითი თუ სხვა შესაძლებლობების მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის გზები. ეს, უპირველესად, ჩვენ გვჭირდება. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის ყველა მეგობარი, პარტნიორი და მოკავშირე ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-ინსტიტუციური მედეგობის ზრდას მხოლოდ მიესალმება, მაგრამ რეალობაა ისიც, რომ დღეის მდგომარეობით არცერთ მათგანს არ აქვს ნაკისრი ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის დაცვის პოზიტიური ვალდებულება და ეს მხოლოდ ქართველთა საქმეა. ეს ბუნებით მონიჭებული ვალდებულება არც მაშინ გაქრება, როდესაც საქართველო ამა თუ იმ ორმხრივი თუ მრავალმხრივი უსაფრთხოების სისტემის ფორმალური წევრი გახდება. ბოლოსდაბოლოს, ნებისმიერი ასეთი წევრობა ხომ მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა თავად მიზანი, როგორც დღეს არცთუ იშვიათად გვესმის ხოლმე.

ამდენად... ისევ ისრაელის მაგალითი!

ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასებების დრო დადგა. თანაც ისეთებისა, რომლებიც ქვეყნის განვითარების სწორ და რეალისტურ გზას განსაზღვრავს და მის მოკავშირეთა და პარტნიორთათვის გასაგები და მათ მიერ გაზიარებული იქნება. მხოლოდ ასეთ და ამ პირობით გაკეთებული შეფასებების შედეგად განხორციელებულ მოქმედებებს ექნება რეალური მხარდაჭერა. მართალი პასუხებისთვის თავის არიდება საფრთხეებისგან გაქცევისა და რისკების შემცირების მხოლოდ მოჩვენებითობას ქმნის: თანაბრად მაცდურს და სახიფათოს.

თემაზე მსჯელობა ისრაელის მაგალითით დავიწყეთ და სტატიის დასასრულს კვლავ მას მივუბრუნდებით. ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერის ნეთანიაჰუს სიტყვების მოკლე პერიფრაზის თანახმად: მშვიდობას სიძლიერე განაპირობებს და არა სისუსტე ან ცალმხრივი დათმობა; ებრაელთა სახელმწიფოს მიზანი კი მისი მოქალაქეების

მომავლის უზრუნველყოფაა, ამიტომ, ისრაელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ნებისმიერი საფრთხისაგან თავის დაცვის შესაძლებლობა. გარკვეული პარალელების გათვალისწინებით, ეს სიტყვები ქართული სახელმწიფოს მთავარ დანიშნულებასა და მიზანზეც შეიძლება თამამად ითქვას.

ვიქტორ ყიფშიანი,
„ჯეოქეისი“, თავმჯდომარე

ევროპული საბჭოს ახალი სანქციები ბელარუსს

ბრიუსელში გამართული სამიტის შედეგად, ევროპული საბჭო ბელარუსისთვის ახალი სანქციების დაწესებაზე შეთანხმდა.

ევროპული საბჭო მკაცრად გმობს „რაინეარის“ რეისის მინსკში იძულებით დაშვებას და ბელარუსის ხელისუფლების მიერ ჟურნალისტ რომან პრატასევიჩისა და მისი მეგობარი გოგონას, სოფია საპეგას დაკავებას.

„ეს არის თავდასხმა გამოხატვის თავისუფლებასა და ევროპულ სუვერენიტეტზე. ეს აღმაშფოთებელი საქციელი საჭიროებს ძლიერ პასუხს. სწორედ ამიტომ, ევროპული საბჭო შეთანხმდა, რომ იქნება დამატებითი სანქციები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ჩართულები იყვნენ გატაცებაში, ასევე ბიზნეს და ეკონომიკურ კომპანიებზე, რომლებიც აფინანსებენ რეჟიმს“, — აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. ევროკავშირის საბჭო ასევე მოუწოდებს ევროკავშირში რეგისტრირებულ ავიაგადამზიდავებს, თავი შეიკავონ ბელარუსის თავზე ფრენისგან.

* * *

ნიდერლანდების ავიაკომპანიამ, KLM-მა ბელარუსის თავზე ფრენა დროებით შეაჩერა. მანამდე ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა, მარკ რუტემ ავიაკომპანიებს მოუწოდა, თავი აარიდონ ბელარუსის საჰაერო სივრცეში შესვლას.

მარკ რუტეს მოწოდება გაითვალისწინეს სხვა ავიაკომპანიებმაც, მათ შორის ლატვიურმა „ეარ ბალტიკმა“, გერმანულმა „ლუფთჰანზამ“ და უნგრულმა „ვიზეარმა“.

* * *

„26 მაისის 00:00 საათიდან უკრაინა წყვეტს საჰაერო მიმოსვლას ბელარუსთან. მთავრობამ ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო საავიაციო სამსახურსა და სახელმწიფო საწარმო „უკრაერორუხს“ შესაბამისი ზომების მიღება დაავალა“, — ნათქვამია უკრაინის პრემიერ-მინისტრის დენის შმიგალის განცხადებაში.

გარდა ამისა, უკრაინულ ავიაკომპანიებს ბელარუსის საჰაერო სივრცის გამოყენება ეკრძალებათ.

ბაიდენი მინსკში დაკავებული ჟურნალისტის გათავისუფლებას ითხოვს



აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ბელარუსის მიერ ოპოზიციონერი ჟურნალისტის დაკავების მიზნით „რაინეარის“ რეისისთვის მიმართულების იძულებით შეცვლას გმობს. ჯო ბაიდენის განცხადებით, მისი ადმინისტრაცია ალექსანდრ ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ შესაბამის ზომებს განიხილავს.

ჯო ბაიდენმა საბერძნეთიდან ლიეტუვაში მიმავალი თვითმფრინავის მიმართულების შეცვლას „საერთაშორისო ნორმების პირდაპირი დარღვევა“ უწოდა და ბელარუსს რომან პროტასევიჩის გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

„მე ვუერთდები საერთაშორისო გამოძიების ჩატარების მოწოდებებს, რათა ამ საქმეზე ყველა ფაქტი დადგინდეს. მივესალმები, რომ ევროკავშირი გამოვიდა მიზნობრივი ეკონომიკური სანქციებისა და სხვა ზომების დაწესების მოწოდებით. მე ვთხოვე ჩემს გუნდს, ევროკავშირთან, სხვა მოკავშირეებთან, პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინაციაში შეიმუშაონ შესაბამისი ვარიანტი, რათა დამნაშავე პირებმა პასუხი აგონ“, — ნათქვამია ბაიდენის განცხადებაში. ჯო ბაიდენის განცხადებით, თვეების განმავლობაში ბელარუსი ხალხი ითხოვს დემოკრატიას, ადამიანის უფლებების პატივისცემას და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას.

„ევროკავშირი გააგრძელებს ბელარუსი ხალხის გვერდით დგომას მათ ბრძოლაში“, — აღნიშნულია აშშ-ის ლიდერის განცხადებაში.

◎ ტკბილად მოსაგონარი

ჩვენი საამაყო თანაკლასელი

რაც წლებით არ იბინდება

თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მეცხრე პირველი კლასი.
ქვემოდან მეორე რიგში, მარჯვნიდან მესამე ნონა გაფრინდაშვილი (პედაგოგები: გიორგი იასეშვილი, ვენერა კუტალაძე, კლასის დამრიგებელი.) 1957 წელი.

ხუმრობა ხომ არ არის, 65 წელი გავიდა იმ დღიდან, როცა თბილისის, ყოფილი ვალიკო მელაძის, ამჟამად კი გრიგოლ ონიანის 62-ე საშუალო სკოლის მეცხრე პირველს ახალი თანაკლასელი შემოგვემატა – ზუგდიდელი გოგონა ნონა გაფრინდაშვილი, მომავალი ჭადრაკის დედოფალი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ლეგენდარული დიდოსტატი.

მოჭადრაკეაო, გაგვაცნეს. მაშინ, მგონი, საქართველოს ჩემპიონი იყო.

ჩვენი, მეცხრე პირველი, ძლიერ კლასად ითვლებოდა. ბიჭები ძირითადად პირველი კლასიდან ერთად მოვდიოდით, გოგონები კი 1955 წელს შემოგვემატნენ, როცა ვაჟთა და ქალთა სკოლები გაერთიანდა. ასე რომ, მეგობრობაც მყარი გვქონდა და კლასის „პატრიოტიზმიც“. აკადემიურად ძლიერი კლასი გვყავდა. საკმარისია ითქვას, რომ სამმა: თეიმურაზ ონიანმა (შემდგომში ცნობილი იურისტი), შალვა გოგელიამ და ნონა გაფრინდაშვილმა სკოლა ვერცხლის მედლით დაამთავრეს, ერთი კი – ომარ გოგიაშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია. ახლა სპორტსმენები: გურამ ჭუმბურიძე და იური ქართველიშვილი ტანმოვარჯიშეები იყვნენ, ტრისტან ბერელიძე-მოჭიდავე, სოსო თანანაშვილი – ფეხბურთელი... შემდგომში ცნობილი მეწარმეები გახდნენ ომარ ჯანჯალია, ალეკო თავართქილაძე, თენგიზ ონიანი, დამსახურებული ჟურნალისტია ალეკო ასლანიშვილი.

აი, ასეთ კლასს შეემატა ნონა 1956 წლის სექტემბერში. ასე რომ, მისი მოჭადრაკეობა, რა თქმა უნდა, საპატიო იყო, მაგრამ მაშინ ეს სრულიადაც არ კმაროდა, რათა ზუგდიდელი გოგონა მოკლე, ფანტასტიკურად მოკლე დროში არა მარტო ორგანულად შერწყმოდა კლასს, არამედ მისი სული და გული გამხდარიყო. ამ კაფანდარა ნინველში ნამდვილი აზარტული ჯინი იყო ჩაბუდებული: ბიჭებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, ბილიარდს, „არიოლ-რეშკასაც“ კი, გიპყრობდა უშუალობით, გულღიაობით, რაიმე ქვენაგრძნობის უქონლობით. ერთი სიტყვით, ნამდვილი ფენომენი იყო..

ხშირად უხდებოდა შეჯიბრებებზე ყოფნა, ამიტომ ბევრს აცდენდა, მაგრამ მაინც, ძალიან კარგად სწავლობდა, შეღავათებს არ კადრულობდა და, როგორც გითხარით, ალალ ვერცხლის მედალზე დაამთავრა კიდეც. ყოველთვის გვახარებდა მისი სპორტული წარმატებები, დღემდე შემოვრჩით მის ფანებად.

და აი, ის კაფანდარა გოგონა უკვე 80 წლისა გახდა, როგორც მისი თანაკლასელების უმრავლესობა, ჩვენ ხომ თანატოლები ვართ. თუმცა, „ვართ“ ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი, რვა უკვე აღარ არის ცოცხალი. რას იზამ, ასეთია ცხოვრების დიალექტიკა. დროს თავისი მიაქვს...

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ნონა, თანაკლასელები, შენი ბავშვობის მომსწრენი და შენი ნიჭის დამფასებელნი.

შენ ჩვენი სიამაყე ხარ!

თანაკლასელთა სახელით:
ომარ გოგიაშვილი, თეიმურაზ ონიანი, ალეკო ასლანიშვილი

◎ რაგბი

ჩვენი ტიტული

ერთ-ერთი პრესტიჟული სარაგბო ევროტურნირი – ჩელენჯ კაპი ფრანგულმა „მონპელიემ“ მოიგო, სადაც მიხეილ ნარიაშვილი და გელა აფრასიძე ირიცხებიან, თუმცა, ტრავმების გამო „თვიქნემზე“ ინგლისურ „ლესტერ თაიგერზთან“ დრამატულ ბრძოლაში მოხვეჭილ გამარჯვებაში – 18:17 მათ არ უთამაშიათ.

აღსანიშნავია, რომ ტრიუმფატორთა სპორტულ ღირსებას ლევან ჩილაჩავაც იცავდა, რომელიც ახლახან „კასტრში“ გადავიდა კარიერის გასაგრძელებლად.

◎ ჭიდაობა

ისინიც – მეოთხეზე

ორი „ვერცხლი“, ერთი „ბრინჯაო“ და გუნდური მეოთხე ადგილი ისევე, როგორც მანამდე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა, ოღონდ მათ ერთი ჩემპიონი მაინც ჰყავდათ – ასეთი შედეგით დაასრულეს ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეს ხალიჩაზე გამართული 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ქართველმა „კლასიკოსებმა“.



უკვე გაუწყეთ, რომ მეორე პრიზიორი თანატოლთა ფორუმზე 87 კგ წონითი კატეგორიის ბორჯომელი ფალავანი **თემურ ჭკუასელიძე** გახდა.

ტურნირის დასკვნით დღეს საპატიო კვარცხლბეკის ასევე მეორე საფეხურზე **გიორგი ქაცანაშვილი** (97 კგ), ხოლო მესამეზე **აივენგო რიკაძე** (82 კგ, ორივე – გარდაბანი) ავიდნენ. მათი მწვრთნელი **სოსო ჯაბიძეა.**

◎ კალათბურთი

გაზაფხულის ფინიშზე

ზეგ გერმანულ კიოლნში იწყება ევროლიგის ოთხთა ფინალი შემდეგი განრიგით: ცსკა – „ეფესი“ (20 საათზე) და „ბარსელონა“ – „მილანი“ (23 საათზე).

ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის დასკვნით რაუნდზე გამგზავრებამდე არმიელებმა ვითიბი ლიგის ნახევარფინალურ სერიაში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ 3:1 გაიმარჯვეს და სატიტულო ბრძოლას ყაზანის „უნიქსთან“ ივნისში გამართავენ.

მოსკოველთა ქართველმა ლეგიონერმა **თორნიკე შენგელიამ** 85:71 მოგებულ გადამწყვეტ შეხვედრაში 18 წუთში 12 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა, ხოლო პარტნიორებს ამჯერად დანიელ ჰეკეტმა ულიდერა 20 ქულით.

ამასობაში რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდმა „რუსთავმა“ სუპერლიგის ფინალური სერიის სტარტზე კარგად გამოიყენა საკუთარი მოედნის უპირატესობა, ორივე მატჩში დაამარცხა „ცხუმაფხაზეთი“ და თუ ხვალ თბილისში მესამეჯერაც სძლევს მეტოქეს, 11-წლიანი შესვენების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონობას მოიპოვებს.

◎ ფეხბურთი

ცხელი ზაფხულის წინ

განვლილ უქმეებზე ევროპის ტოპ-ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები დასრულდა, ამ დღეებში კი კონტინენტის პოპულარული საკლუბო ტურნირების გამარჯვებულთა ვინაობას შევიტყობთ, სადაც ფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან:

26 მაისი. გდანსკი (პოლონეთი). ევროპა ლიგა. „მანჩესტერი“ – „ვილიარეალი“.

29 მაისი. პორტუ (პორტუგალია). ჩემპიონთა ლიგა. „სიტი“ – „ჩელსი“.

რაც შეეხება სანაკრებო კალენდარს, იგი კიდევ უფრო გადატვირთულია, რადგან ერთდროულად მოგვიწევს როგორც ევრო-2021-ით, ისე კოპა ამერიკით ტკბობა, რომელსაც კოლუმბიის მოკვეთის შემდეგ მხოლოდ არგენტინა უმასპინძლებს..

მოახლოებული ფორუმების წინ განაცხადები პირველად ძველი სამყაროს გრანდებმა გამოაქვეყნეს და დარწმუნებულნი ვართ, გულშემატკივრები ინტერესით გაეცნობიან თავიანთ რჩეულთა შემადგენლობებს.

აღსანიშნავია, რომ ფრანგებს ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ბენზემა უბრუნდებათ, ხოლო გერმანელებს – 3-წლიანი იძულებითი არდადეგების შემდეგ – მიულერი და ჰუმელსი, თუმცა ლიოვის გუნდს დანაკლისიც აქვს როისისა და ტერ-შტეგენის სახით, რომელსაც მუხლის ოპერაცია ელოდება.

სერიოზული საკადრო პრობლემა ვერც მუნდიალის შესარჩევ რაუნდში ჩვენმა მეტოქეებმა შვედებმა აიცილეს თავიდან – დაგვეთანხმებით, ტრავმირებული იბრაჰიმოვიჩის სამშობლოში დარჩენა არამარტო სკანდინავიელთა შეტევით პოტენციალს, არამედ მთლიანად ტურნირის სანახაობრივ მხარეს დაასვამს დაღს, თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, ერთთვიანი მარათონი მაინც .გაგვანებივრებს საფეხბურთო სპექტაკლებით. მაშ ასე:

საფრანგეთი. მეკარეები: ლორისი, მანდანდა, მენიანი; **მცველები:** დინი, დიუბუა, ერნანდესი, კიმპემბე, კუნდე, ლანგლე, ვარანი, ზუმა; **ნახევარმცველები:** კანტე, პოგბა, რაბიო, ტოლისო, სისოკო, ლემარი; **თავდამსხმელები:** ტურამი, კომანი, მბაპე, გრიზმანი, ჟირუ, ბენზემა, ბენ-იედერი, დემბელე.

გერმანია: მეკარეები: ლენო, ნოიერი, ტრაპი; **მცველები:** გინტერი, გოსენსი, გიუნტერი, ჰალშტენბერგი, ჰუმელსი, კლოსტერმანი, კოხი, რიუდიგერი, ზიულე; **ნახევარმცველები:** ჩანი, გნაბრი, გორეტცკა, გიუნდოგანი, ჰავერტცი, ჰოფმანი, კიმიხი, კროოსი, მუსიალა, ნოიჰაუსი; **თავდამსხმელები:** მიულერი, სანე, ფოლანდი, ვერნერი.

ბელგია. მეკარეები: კურტუა, მინოლე, სელსი; **მცველები:** ალდერვეირელდი, ბოიატა, დენაიერი, ვერმაელენი, ვერტონგენი, მონიე, კასტანი; **ნახევარმცველები:** კარასკო, შადლი, ტორბიორნ აზარი, ედენ აზარი, მერტენსი, დოკუ, ტროსარი, პრაიეტი, ვიტცელი, ტილემანსი, დე ბრუინი, დენდონკერი; **თავდამსხმელები:** ბატშუაი, ბენტეკე, ლუკაკუ.

შვედეთი. მეკარეები: იონსონი, ნორდფელდტი, ოლსენი; **მცველები:** აუგუსტინსონი, დანიელსონი, გრანკვისტი, ჰელანდერი, იანსონი, კრაფტი, ლუშტიგი, ლინდელოფი, მარტინ ოლსონი; **ნახევარმცველები:** კაიუსტე, კლასონი, ეკდალი, ფორსბერგი, კულუშევსკი, კრისტოფერ ოლსონი, სებასტიან ლარსონი, კაისონი, სემა, სვანბერგი, სვენსონი; **თავდამსხმელები:** ბერგი, ისაკი, ჯორდან ლარსონი.

ხორვატეთი. მეკარეები: კალინიჩი, ლივაკოვიჩი, სლუგა; **მცველები:** ვიდა, ლოვრენი, ვრსალკო, ბარიშიჩი, იურანოვიჩი, ჩალეტა – ცარი, ბრადარიჩი, შკორიჩი, გვარდიოლი; **ნახევარმცველები:** მოდრიჩი, კოვაჩიჩი, ვლაშიჩი, ბროჟოვიჩი, ბადელი, პაშალიჩი, ივანუშეცი, პერიშიჩი; **თავდამსხმელები:** კრამარიჩი, რებიჩი, ბრეკალო, პეტკოვიჩი, ბუდიმირი, ორშიჩი.

პორტუგალია (ევროპის მოქმედი ჩემპიონი). მეკარეები: ლოპესი, პატრისიო, რუი სილვა; **მცველები:** კანსელო, სემედუ, ფონტე, პეპე, დიაში, მენდეში, გერეირო; **ნახევარმცველები:** პერეირა, პალინია, ნევეში, ფერნანდეში, მოუტინიო, სანჩესი, ოლივეირა, კარვალიო; **თავდამსხმელები:** გონსალვეში, ანდრე სილვა, ბერნარდო სილვა, რაფა სილვა, რონალდო, ჟოტა, გუედეში, ფელიქსი.

თურქული კომპანიის წარმომადგენელმა ქართველებს სოლიდური თანხები წაჰგლიჯა!..

როგორ მოატყუეს ქართველი მეზღვაურები

აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოში 30-ზე მეტი მეზღვაური გამოკითხეს, რომლებიც მოტყუებასა და ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ თურქეთის მოქალაქეს. როგორც მეზღვაურები ამბობენ, დაზარალებულების რაოდენობა გაცილებით მეტია. ისინი ჰყვებიან, რომ თურქეთის მოქალაქეს თურქული კომპანია „ბეშიქთაშ გრუპის“ სახელით ოფისი ჰქონდა ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე. ის რამდენიმე ათეულ მეზღვაურს თურქეთში გემებზე დასაქმებას და შორეულ ნაოსნობაში გაგზავნას დაჰპირდა და სანაცვლოდ ნაწილს 500, ნაწილს კი 800 აშშ დოლარი გადაახდევინა.

23 წლის მეზღვაური რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ სამართალდამცავებისგან მიღებული ინფორმაციით, თურქეთის მოქალაქე იძებნება და ის, სავარაუდოდ, ისევ საქართველოს ტერიტორიაზეა, რადგან მისი პასპორტით საზღვრის გადაკვეთა არ დასტურდება. თუმცა სხვა დაზარალებული მეზღვაურის ვარაუდით, პირი, რომელმაც მათ ფული გამოსძალა, კარგად იყო მომზადებული და ქვეყნის დატოვებას მოახერხებდა.

რას ჰპირდებოდნენ მეზღვაურებს

23 წლის მეზღვაური გვიყვება, რომ, შეთანხმების მიხედვით, თურქეთის მოქალაქეს ქართველი მეზღვაურები საქართველო-თურქეთის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ავტობუსებით 20 მაისს უნდა გადაეყვანა თურქეთში, თუმცა სარფში შეკრებილ მეზღვაურებთან ის აღარ გამოჩენილა და აღარც ბათუმში გახსნილ ოფისში იმყოფება, სადაც მასთან ერთად ორი თარჯიმანი ქალი მუშაობდა:

„სარფში 2 საათზე მიგვიყვანა. ორი ავტობუსი უნდა ჩამოსულიყო თურქეთიდან. 30-ნი ვიყავით, დანარჩენები მერე უნდა მოსულიყვნენ. ადგილზე მისულებს არავინ დაგვხვდა. დავურეკეთ თარჯიმანს, რომელმაც გვითხრა, მგონი, ამ კაცმა გადაგვაგდოო. ამ თურქეთის მოქალაქეს აბრალებენ ყველაფერს. ამ კაცმა დაგვარწმუნა, დოკუმენტები გვაჩვენა, მაგრამ მოგვატყუა. ჩვენ პირველად მივდიოდით, მაგრამ გამოცდილი მეზღვაურებიც მოატყუა, კაპიტნები, მექანიკოსები, 10-12 წელი რომ ცურავდნენ, ის ხალხი. ეს კომპანია ერთ-ერთი უძლიერესია თურქეთში. სწროედ ამ კომპანიის ბეჭდებით საბუთები ჰქონდა და ამ კომპანიაში დასაქმებას დაგვპირდა. 1 800 დოლარი გექნებათ ხელფასიო, თავიდან 500 დოლარი გადამიხადეთ და დანარჩენი ხელფასიდან დაიფარებაო. ასე მოგვატყუა და დაგვყარა სარფში“, — ამბობს 23 წლის მეზღვაური

რატომ მოტყუვდნენ მეზღვაურები?

მეზღვაურებთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათი ოჯახის წევრებიც გამოკითხა — ისინი, ვინც დამსაქმებელ კომპანიასთან ურთიერთობდნენ. მათ შორისაა მარიამ გოგუა, რომელიც ამბობს, რომ კომპანიას ფეისბუკგვერდით დაუკავშირდა დამწყები მეზღვაური ქმრის დასაქმების სურვილით.

ამბობს, რომ კომპანიის ბათუმის ოფისში თურქეთის მოქალაქეს ორი ქართველი თარჯიმნის დახმარებით ეკონტაქტებოდა. შორეულ ნაოსნობაში დასაქმების სანაცვლოდ 700 ამერიკული დოლარი გადაიხადეს და მხოლოდ სიტყვიერი გარანტია მიიღეს. როცა კონტრაქტი მოითხოვეს, უთხრეს, რომ პირად ელექტრონულ მისამართზე მიიღებდნენ, თუმცა კონტრაქტის გარეშე 20 მაისს თურქეთში გამგზავრება შესთავაზეს:

„2-ის ნახევარზე ჩვენ უკვე თურქეთში, სარფთან ვიყავით, საზღვარზე. იქ არავინ დაგვხვდა. კომპანიის წარმომადგენელს დავურეკეთ, მაგრამ არ გვიპასუხა. შემდეგ ტელეფონი გათიშა. დავურეკეთ თარჯიმანს, რომელმაც ოფისში დაგვიბარა. ოფისში მისულებს სხვა მეზღვაურები დაგვხვდნენ და მივხვდით, რომ თაღლითობასთან გვაქვს საქმე. თარჯიმანმა გვითხრა, რომ თურქი გაქრა და ამის შესახებ პოლიციას შეატყობინა, რადგან თავადაც მოატყუეს, მაგრამ მე არ მჯერა მისი. პირველი ნაოსნობა იყო, ამიტომ მოვტყუვდით“, — ამბობს მეზღვაურის ცოლი.

რა უნდა ქნან მეზღვაურებმა იმისთვის, რომ „ღირსეულად დასაქმდნენ“?

მეზღვაურები, რომლებიც თაღლითობის მსხვერპლად მიიჩნევენ თავს, ძირითადად გამოუცდელები არიან. მათი უმრავლესობა შორეულ ნაოსნობაში პირველად სწორედ გაუჩინარებული დამსაქმებლის დახმარებით აპირებდა გამგზავრებას. ამ საქმეს გუშინწინ ბათუმში გამოეხმაურა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი **თამარ იოსელიანი** და მოუწოდა ყველა მეზღვაურს, რომ ვიდრე დამსაქმებელთან კონტრაქტს მოაწერენ ხელს, სააგენტოს დაუკავშირდნენ და გაიარონ უფასო იურიდიული კონსულტაცია.

„ყველა ტიპის ინფორმაცია დასაქმებასთან დაკავშირებით უნდა გადაამოწმონ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში. მუშაობს ცხელი ხაზი. ჩვენ ასევე პანდემიის გამო დახმარებას ვუწევთ მეზღვაურებს საზღვრის კვეთის მიმართებაში და ვამოწმებთ ყველა ხელშეკრულებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ჩვენი ინფორმირება მეზღვაურებისგან არ მომხდარა. ერთადერთი ზარი იყო შემოსული და იკითხეს, თუ იყო გადმოგზავნილი ამ კომპანიისგან ინფორმაცია საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით. დავუდასტურეთ, რომ ჩვენთან ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, არ ყოფილა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მეზღვაურებს, ისარგებლონ ჩვენი კონსულტაციით და გადაამოწმონ ყველა ინფორმაცია, იმისთვის რომ ღირსეულად დასაქმდნენ“, — ამბობს თამარ იოსელიანი.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის ამ მოწოდებაზე პოლიციაში გამოკითხვაზე მისული ახალგაზრდა მეზღვაურების ნაწილი ამბობდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ შორეულ ნაოსნობაში დასაქმება იმდენად რთულია, რომ ახალგაზრდები მარტივ გზებს ეძებენ. ამიტომ ხშირად თაღლითი დამსაქმებლების მსხვერპლნი ხდებიან. 23 წლის მეზღვაურმა რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ სწავლის შემდეგ, სამი წელია, დასაქმება პროფესიით ვერ შეძლო. ამიტომ თურქული კომპანიის წარმომადგენელს, რომელმაც მარტივად დასაქმება შესთავაზა, 700 ამერიკული დოლარი გადაუხადა, მან კი მოატყუა:

„ელექტრომექანიკოსი ვარ და პირველად წასვლა რთულია. მირჩიეს, რომ პირველად თურქული კომპანიით წავსულიყავი. ბევრ კომპანიაში მაქვს დატოვებული ჩემი საბუთები, მაგრამ ყველგან ითხოვენ გამოცდილებას. ითხოვენ ენების ცოდნას. სამი ენა ვიცი, მაგრამ ყველა წვალობს — პირველად წამსვლელიც და დამწყები მეზღვაურებიც, მხოლოდ ორი ან სამი კონტრაქტი რომ აქვთ. მარტივ გზას ვეძებთ, იმიტომ რომ დიდი თანხებია გადასახდელი და არანაირი გასაქანი არ გვაქვს. ან უნდა იყო მაღალჩინოსნის ახლობელი, რომ ნორმალურად დასაქმდე. შენით მიღწევას კიდევ დრო და გამოცდილება სჭირდება. მე 23 წლის ვარ, ორი წლის შვილით ვცხოვრობ ნაქირავებში. ვმუშაობდი ავტოსამრეცხაოში, ოჯახი რომ მერჩინა“, — ამბობს 23 წლის მეზღვაური, რომელსაც არ აქვს იმედი, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ დასაქმებაში გადახდილ თანხას დაიბრუნებს, თუმცა სჯერა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან.

ეკა ლორთქიფანიძე

ოსიპ შორი — ოსტაპ ბენდერის პროტოტიპი

ოსტაპ ბენდერის „ნამდვილი ცხოვრება“

მსოფლიო ლიტერატურაში პოპულარულ არაერთ პერსონაჟს ცხოვრებისეული პროტოტიპი რომ ჰყოლია, კარგად ცნობილი ამბავია. ამასთან, ზოგიერთი მათგანის ცხოვრება, ზოგჯერ ლიტერატურულ ორეულთა თავგადასავლებზე — ფათერაკებით თუ ავბედითი ვნებებით აღსავსე ისტორიაზე გაცილებით უფრო საინტერესო ყოფილა.

ბევრისთვის შეიძლება არ იყოს ცნობილი, რომ ილია ილფისა და ევგენი პეტროვის ორი შეუდარებელი რომანის — „თორმეტი სკამისა“ და „ოქროს კერპის“ ჭეშმარიტად უკვდავ გმირს — „თურქეთის ქვეშევრდომის ძის, ოსკარ-სულეიმან-ბერტა-მარია ბენდერბეის“, ანუ უბრალოდ, ოსტაპ ბენდერს, რეალური პროტოტიპი ჰყავდა. სულით-ხორცით ეს ჭეშმარიტად ოდესელი კაცი — ოსიპ შორი, ანუ მეგობრებისთვის, უბრალოდ, ოსტაპი, დაბადებით იქაური არ ყოფილა: იგი მისგან შორიახლოს, სხვა ზღვისპირა ქალაქში — ნიკოლაევში დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ბუნებით ავანტიურისტი ოსიპი ისეთ აფიორებს ატრიალებდა, რომლებიც მისი მეგობრების ილიასა და ევგენის მიერ გაცილებით გვიან შეთხზულ პერსონაჟს „დიდ კომბინატორ ოსტაპ ბენდერს“ არც დასიზმრებია.

ნიკოლაევში დაბადებული ოსიპის ბავშვობამ და სიყმაწვილემ ოდესაში, ამ უაღრესად კოლორიტულ ქალაქში, გაიარა და, როგორც ჩანს, სწორედ აქაური გარემოს ზეგავლენით ჩამოყალიბდა მისი ავანტიურისტული ხასიათი. ის უაღრესად გონებაგახსნილი, სხარტი ჭკუის პატრონი იყო, სწავლობდა ჯერ ოდესაში ცნობილ ილიადის გიმნაზიაში, მერე კი ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მოუსვენარი ხასიათი მას ბუნებით დაჰყვა: მისი საძმაკაცო „წესიერი“ და „ავარა“ ბიჭების აზელილ „აჯაფსანდალს“ წარმოადგენდა. თანაც თავის ლიტერატურული ორეულის დარად, მანაც დოყლაპია ობივატელებისთვის ფულის ართმევის აუარება „შედარებით პატიოსანი ხერხი“ იცოდა. თუ რა დაუოკებელი ფანტაზიის პატრონი იყო ოსკა შორი, თავად შეგიძლიათ განსაჯოთ, აი, მის მიერ განხორციელებული სარფიანი „საფინანსო ოპერაციების“ არასრული ნუსხა: აფიორა „უბუმბულო ქათმებით“, რომლებსაც გაპუტვა არ უნდოდა, ბორის მჟავიანი ღვინო, რომელიც ამ მინარევის წყალობით არ ძმარდებოდა, თუმცა კი მისი დალევა წყალწაღებულ ლოთებსაც კი არ შეეძლოთ, ადგილობრივი რაბინისთვის მიცემული გენიალური რჩევა მრევლისთვის სამოთხეში ადგილების წინასწარი მიყიდვის თაობაზე, რომლის ხელშეკრულებას ნაკვეთების განაწილების სქემა ახლდა!..

რევოლუციის მრისხანე წლებში იგი უკაპიკოდ, ჯიბეგამოფხეკილი, პეტროგრადში წავიდა, საიდანაც უკვე ცეცხლმოკიდებულ, აბობოქრებულ უკრაინაში დაბრუნდა, რა დროსაც „მადამ გრიცაცუევაზე“ იქორწინა. მერე იყო სამოქალაქო ომით არეულ ოდესაში დაბრუნება და მიშკა იაპონჩიკის ბანდიტებთან ოპერრწმუნებულთა რიგებში ბრძოლა, რომლისაც ყველა ყაჩაღის ეშინოდა. თუმცა, სამძებროში მუშაობას ერთობ სევდიანი დასასრული ჰქონდა: ბანდიტებს შეეშალათ და ოსტაპის მაგივრად მისი ძმა, პოეტი ფიოლეტოვი მოკლეს. ძმის მკვლელებს მან ქურდების ბუნაგში მიაგნო... მერე იყო მოსკოვი, შემდეგ დის წყალობით, იგი ურალში აღმოჩნდა, სადაც მისმა სამეწარმეო ნიჭმა იფეთქა ძალუმად...

ოსიფ შორი ახლობლებისთვის, დასახმარებლად მუდამ შემართული, გულუხვი მეგობარი იყო: რეპრესიების მძვინვარე ჟამს მან არაერთ განსაცდელში ჩავარდნილს გაუწოდა დახმარების ხელი. ერთხელ კი სულაც მისი მეგობრის დასაპატიმრებლად მისულ ოთხ შინსახკომელს ისე „დააყარა“, რომ ისინი ვერაფერს გახდნენ მასთან, ვიდრე სხვები არ მიეშველნენ, თუმცა კი ახლობლის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო და თავს გაქცევით უშველა. ამის შემდეგ იგი დიდხანს მიმალვაში იყო, ხანდაზმულ ასაკში კი, ვიდრე გარდაცვალებამდე — მოსკოვი-ტაშკენტის სამგზავრო მატარებლის გამცილებლად მუშაობდა. ოჯახი არასდროს ჰყოლია, მხოლოდ სნეული დის პატრონი იყო, რომელიც სიცოცხლეს ერჩივნა...

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

გიორგი გაგნიძის ტრიუმფი ნეაპოლში

შვიდთვიანი პანდემიური პაუზის შემდეგ ნეაპოლის სან კარლოს თეატრში დაბრუნდა ნანატრი ცოცხალი შოუ და მაყურებლისთვის კარები გაიღო. 14 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით იტალიის უძველეს საოპერო თეატრში წარმოდგენილი იყო ყველასათვის საყვარელი ოპერა — ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“.

ბარიტონის მთავარ როლზე მიწვეული იყო მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მომღერალი გიორგი გაგნიძე, რომელმაც ჟორჟ ჟერმონის პარტია ორ სხვადასხვა შემადგენლობასთან ერთად 7 სპექტაკლში შეასრულა. მას პარტნიორობას უწევდნენ ალესანდრა კურსაკი, აილინ პერესი, პიერო პრეტი, ივან მაგრი. სპექტაკლს ბრიტანელი მაესტრო კარელ მარკ ჩიჩონი დირიჟორობდა. რეჟისორ მარინა ბიანკის ნახევრად სცენური დადგმა მინიმალიზმით გამოირჩეოდა.

განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი ცნობილი ქართველი მომღერლის გიორგი გაგნიძისადმი. მასზე სპეციალური სტატიები დაიწერა ცნობილ გაზეთებში Corriere della sera და La Repubblica.

„ქართველი ბარიტონი გიორგი გაგნიძე, რომელიც ძალზედ დაფასებულია სან კარლოში, ჟორჟ ჟერმონის პერსონაჟს გამორჩეული ხმით ამკობს: ლამაზი ტემბრით, იგი დამაჯერებლად დომინირებს ტექსტზე, დემონსტრირებას ახდენს საუკეთესო ლეგატოსი და ყოველთვის ადეკვატურად გვიშლის ხმის დიაპაზონს. ის არის უფრო მეტად ავტორიტეტული მამა, ვიდრე ავტორიტარული, ღირსეული, ზომიერი ინტერპრეტაციისას და მუდამ ელეგანტური სიმღერის ხაზის ჩვენების დროს. ტრიოს შესრულებისას, გიორგი გაგნიძე იყო საუკეთესო“, — წერდა ცნობილი იტალიური გამოცემა L'Ape Musicale.

აღსანიშნავია ასევე რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა Vesuviolive-ში: **„გიორგი გაგნიძის მიერ შესრულებული ჟერმონი მამის პარტია უფრო მეტ სიღრმეს იძენს ამ გამორჩეულად ინტიმურ ვერსიაში. მასში გამოიკვეთება იერარქიული, მაგრამ ამასთანავე ნამდვილად მამობრივი გრძნობები, რომელსაც ძალუძს შეიგრძნოს მიყენებული ტკივილი. მისი სიმღერის საიუველირო ნიმუში „Di Provenza il mar, il sol“, რომელიც წარმოადგენს უშფოთველობის ნამდვილ ოაზისს ვნებების ქარცეცხლში, შესანიშნავად შეასრულა ქართველმა ბარიტონმა“.**

კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა

გერმანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ვაქცინა თავის ტვინის სიმსივნის გლიომების წინააღმდეგ. ევროპაში ყველაზე დიდ კვლევით ცენტრში კვლევების პირველი ეტაპი, ადამიანების მონაწილეობით წარმატებით დასრულდა.

33 აცრილი პაციენტიდან 93%-ის ორგანიზმს იმუნური პასუხი ჰქონდა, 82%-ის შემთხვევაში კი უკვე 3 წელია სიმსივნის პროგრესირება შეჩერდა. დადასტურდა, რომ ეს ვაქცინა ადამიანის ორგანიზმს ეხმარება იმუნური სისტემის სტიმულირებაში, მოქმედებს მუტაციის გამომწვევ გენებზე და ყინავს უჯრედების გამრავლების პროცესს.

კოვიდზე საშიშ ვირუსზე ალაპარაკდნენ

ახალი, უფრო საშიში ვირუსი გაჩნდება, რომელიც უფრო მომაკვდინებელი იქნება, — ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის 74-ე სეზიაზე გამოსვლისას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ტედროს ადანომ გებრეისუსმა განაცხადა. მისი თქმით, ის COVID-19-ზე უფრო საშიში იქნება. **„ეს ბოლო შემთხვევა არ არის, როდესაც მსოფლიო პანდემიის საშიშროების წინაშე დადგა. ევოლუციური შეფასებით, გაჩნდება ახალი ვირუსი, რომელიც პოტენციურად უფრო ინფექციური და მომაკვდინებელი იქნება, ვიდრე ამჟამინდელი ვირუსი“,** — განაცხადა მან.

რატომ გადაიხარა ცათამბჯენი?

ჩინეთის სამხრეთით მდებარე პროვინციის გუანდუნის ხელისუფლება ითხოვს, რომ 335-მეტრიანი ცათამბჯენის SEG Plaza-ს გადახრის ფაქტი ოპერატიულად შეისწავლონ.

ამასთან, ხელისუფლება ითხოვს იმის გარკვევას, რამდენად უსაფრთხოა ცათამბჯენი. 73-სართულიანი შენობიდან 15 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. SEG Plaza მოულოდნელად 18 მაისს გადახარა. ამ ფაქტმა ქუჩაში მოქალაქეების პანიკა გამოიწვია. მალევე შენობა დახურეს და ამ პერიმეტრზე ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

იცით თუ არა, რომ...

- **იმ კოსმონავტების გული, რომლებმაც კოსმოსში დიდი დრო გაატარეს, სფეროს ფორმას იღებს.**
- **კოსმოსში გაშვებული პირველი არსებები ტარაკნები იყვნენ, რომლებიც გაცილებით სწრაფები და ღონიერები გაიზარდნენ, ვიდრე მათი თანამოძმეები დედამიწაზე.**

- **1975 წლის აპრილში, სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოპერაცია „ბებილაიფის“ ფარგლებში, დაახლოებით სამი ათასი ობოლი ბავშვი გაიყვანეს, რომელთაგან უმრავლესობა ამერიკელ ჯარისკაცთა ვიეტნამელი მეგობარი ქალების მიერ იყო გაჩენილი და რომლებიც შემდგომ ამერიკის, კანადის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებმა იშვილეს.**
- **ამჟამად აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში დაახლოებით 240 ათასი ქალი მსახურობს (მთელი პირადი შემადგენლობის 20 პროცენტი), რომელთაგან ბოლო წლებში ერაყსა და ავღანეთში ჩატარებული ოპერაციების დროს 152 დაიღუპა.**
- **ორთვლიანი ველოსიპედი სიარულის დროს გვერდზე არ ვარდება რადგან როცა გადაიხრება, ველოსიპედისტი საჭეს იმავე მხარეს ატრიალებს, რა დროსაც წარმოიშვება ცენტრიდანული ძალა, რომელიც ველოსიპედს საპირისპირო მხარეს ეწევა და მას ისევ ვერტიკალურ მდგომაროებაში აბრუნებს.**
- **ლითონი მუდამ ატმოსფერულ ჰაერზე გრილი იმიტომაა, რომ მას მაღალი თბოგამტარობა აქვს, ესე იგი სითბო მასში ძალიან სწრაფად ვრცელდება, ამიტომაც როცა მას ხელით ვეხებით, კანი ამას როგორც ცივი საგნის შეხებას ისე აღიქვამს.**
- **თანამედროვე კუები დინოზავრებთან ერთ დროს გაჩნდნენ, მაგრამ მათი წინაპარი დღემდე უცნობია.**
- **ყველაზე მძიმე სეტყვის მარცვლები დედამიწაზე 1986 წლის 14 აპრილს ბანგლადეშის ქალაქ გოპალგანჯში მოვიდა და თითოეული ხოშკაკალის წონა 1,02 კილოგრამი იყო.**

სარკინიგზო ავარია მალაიზიაში

მალაიზიის დედაქალაქში 2 მატარებლის შეჯახების შედეგად 200-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, სამგზავრო მატარებელი, რომელშიც 213 მგზავრი იყო, ერთ-ერთ გვირაბში ცარიელ მატარებელს შეეჯახა.

დაშავებულთაგან 47-ის მდგომარეობა მძიმეა. მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა მუჰიდინ იასინმა მომხდარი სარკინიგზო კატასტროფის გამომწვევი მიზეზების დასადგენად სრულ გამოძიების ჩატარება მოითხოვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 28 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3126; ევრო - 4.0473;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6820;
100 რუბლი - 4.4992; თურქული ლირა - 0.3947;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9468;
1000 სომხური დრამი - 6.3612.

ამინდი 26 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge